# გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 7 იანვარი, 2013 №4 (6005) ფასი: 30 თეთრი

## შსს-მ დაჭრის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს I განყოფილების თანამშრომლებმა 1992 წ. დაბადებული ბესიკ ც. დააკავეს, რომელმაც ბარათაშვილის ქუჩაზე ცივი იარაღის გამოყენებით მუცლის არეში დაჭრა 1979 წ. დაბადებული თამაზ ო.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულმა იმავე დღეს გუთნის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ასევე ცივი იარაღით 1989 წ. დაბადებულ გიორგი ხ.-ს გულმკერდის, ბარძაყისა და მუცლის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) I ნაწილითა და 19-108 მუხლით აღიძრა.

ორივე დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს I განყოფილება აწარმოებს.

მედიანიუსი

# ზურაბ ადეიშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება



გვ.3

მისცემს თუ არა ბელგია იუსტიციის ყოფილ მინისტრს პოლიტიკურ თავშესაფარს



გვ.5

## გელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილი ძველი პროკურორებისგან უნდა გათავისუფლდეს!“

## ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მზაკვრული გეგმა შეიმუშავა“

გვ.2



## გოგი ხუციშვილი: „ივანიშვილს პრობლემებს თავისივე განცხადებები უქმნის“

გვ.6



## მოწუწუნე ანგელოზები

გვ.2

### ნანა კაკაბაძე: „ამნისტია კრიმინოგენურ ფონს არ გააუარესებს“

გვ.4



### გუგული მაღრაძე: „ნაციონალებისგან რევანშს არ ველით“

გვ.4



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „სახელმწიფო გადატრიალება არავის არ უნდა შერჩეს!“

გვ.6



7 საჩხერეში ფონდი „მოდინახე“ ფუძნდება

11 2012 წლის ყველაზე კორუმპირებულ პერსონად ილჰამ ალიევი დაასახელეს

9 გულშემატკივრებმა საუკეთესოდ ოქრიაშვილი აღიარეს

7 ქართული წარმოების უნიკალური აპარატის გამოშვება შესაძლებელია

9 771987 938006

# ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მზაკვრული გეგმა შეიმუშავა“

შორენა მარსაგიშვილი

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე მეოცნებეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს. მისი მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილს ბევრი ვერაგობის ჩადენა შეუძლია. შალამბერიძეს არც კოჰაბიტაციის ძახილი მოსწონს დიდად და არც ნაციონალებისთვის მიტევების იდეით არის დიდად მოხიბლული.**

რატომ ერევა დასავლეთი ჩვენს საშინაო საქმეებში, რატომ უნდა გამოვიდეს ხალხი ქუჩაში 20 იანვრის შემდეგ, რა საფრთხეები ელოდება ქვეყანას – ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილს გასდის კონსტიტუციით მინიჭებული საპრეზიდენტო ვადა. არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობის დიდი ნაწილი და პარტიები მის გადადგომას ითხოვენ. „ქართული ოცნება“ კი ამბობს, 10 თვეც დარჩეს და ნაციონალებსაც მივუტევოთო. საპარლამენტო არჩევნებზე ხალხმა 41 იმიტომ შემოხაზა ვითომ, რომ ნაციონალებისთვის სხვანაირად ვერ ახერხებდნენ მიტევებას?

– ნაციონალებისთვის მიტევების სურვილი რომ ჰქონოდათ, ხალხი 41 ნომერს არ შემოხაზავდა. „ქართულ ოცნებას“ იმიტომ მისცეს ხმა, რომ ისინი სამართლიანობის აღდგენის პირობას დებდნენ. გაიგონ მეოცნებეებმა, რომ ხალხს ისინი სააკაშვილთან კოჰაბიტაციისთვის არ აურჩევია. არჩევნების წინ მთელი ოპოზიცია, მათ შორის ოცნებაც გამუდმებით აპელირებდა სააკაშვილის და მისი ბანდის ჩადენილ დანაშაულებზე. კი ბატონო, მიუტევონ და იკოჰაბიტაციონ, მაგრამ რას ეუბნებიან გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის და ვაზაგაშვილის ოჯახებს? როგორ აუხსნიან ამ მიტევებას 7 ნოემბერს და 26 მაისს სასტიკად დარბეულ ხალხს? „ქართულმა ოცნებამ“ დადო პირობა, რომ დამნაშავეებს დასჯიდა? ახლა კეთილი ინებონ და ეს საქმე მიიყვანონ ბოლომდე. მით უმეტეს, რომ არც თავად სურთ დიდად ნაციონალებთან კოჰაბიტაცია.

***– თუ არ სურთ, რაღას გაიძახიან ამ სიტყვას, რომელზეც ხალხს უკვე ალერგია გაუჩნდა?***

– ასე დასავლეთის შიშით ლაპარაკობენ. დასავლეთის მითითებებით სიარული ქვეყანას ხეირს არ დააყრის. ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ახალმა ხელისუფლებამ უნდა განუმარტოს, რომ ესენი არიან დამნაშავეები. დამნაშავეებს კი ყველგან სჯიან. მაგალითისთვის მოვიყვან სარკოზის და ბერლუსკონის ისტორიებს. ჩვენს ნაციონალებთან შედარებით, ორივე ფრთიანი ანგელოზია. ცოტა ხნის წინ აქ დიდი ამბავი ატყდა გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსის, გიორგი კალანდაძის დაკავების გამო. შეაშფოთეს რასმუსენიც. არც ევროპას და არც რასმუსენს არაფერი უთქვამთ, როცა რამდენიმე დღის წინ თურქეთის გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი დააკავეს, არადა, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. დამნაშავე უნდა დაისაჯოს! არავითარი მიტევება!



***– რატომ ასე მკაცრად?***

– იმიტომ, რომ მიტევება ხელისუფლებას რყვნის. ნაციონალები გაირყვნენ იმიტომ, რომ შევარდნაძეს ეპატია. და თუ ნაციონალებსაც ეპატიათ, ჩათვალეთ, რომ მეოცნებეებიც გაირყვნებიან.

***– ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამის საშუალებას არავის არ მისცემს.***

– სააკაშვილიც ასე ამბობდა, მაგრამ გადაჭამეს მაგის ჩინოსნებმა ქვეყანა. ახლა კი წამებულის მანტია აქვთ მოსხმული. ჰარი პოტერა ზურაბ ადეიშვილი მთელ ქვეყანას ატერორებდა. მილიარდები იშოვა, ახლა გაქცეულია და ბელგიაში ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს.

***– ეგ კი ითხოვს, მაგრამ მისცემენ?***

– შესაძლოა მისცენ კიდევაც. და მერე მაგას აქ ვერავინ ჩამოიყვანს. ჩვენი ამოცანაა ახლა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა იმუშაონ სერიოზულად. ამ მხრივ განსაკუთრებით თეა წულუკიანმა და არჩილ კბილაშვილმა უნდა იაქტიურონ. ახლა თამაშის დრო არ არის.

***– ფიქრობთ, რომ წულუკიანი და კბილაშვილი თამაშობენ? ყველაზე მეტს ისინი მუშაობენ.***

– ამ შემთხვევაში მე კბილაშვილს და წულუკიანს არ ვგულისხმობდი. მე, იმ თამაშს ვაპროტესტებ, რომელსაც სახელად მიტევება და კოჰაბიტაცია ჰქვია. დამნაშავის მიტევება არის კიდევ უფრო დიდი დანაშაული.

***– სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის გასვლაზეც ვისაუბროთ. ოცნება თანახმაა დამატებით ათი თვე კიდევ აიტანოს ის პრეზიდენტად. ამასთან, ამბობენ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა უკვე ჰყავთ და მას უფლებებს შეუზღუდავენ.***

– ჩვენ ჯერ არ ვიცით, მოაგროვებენ თუ არა საკონსტიტუციო უმრავლესობას მეოცნებეები. თუმცა, რომც მოაგროვონ და უფლებები შეუზღუდონ, ეს არაფერი არ იქნება. ის ისეთი ოხერია, დარჩენილი უფლებებითაც ჩაიდენს ვერაგობებს. მთელი ქვეყანა მის გადადგომას მოითხოვს. ის კი დუბაიში წავიდა გოგოებთან საგულაოდ.

***– მანამდე ავღანეთში იყო.***

– დიდი ამბავი, თუ ავღანეთში ჩავიდა. იქ ჩვენს ბიჭებს ერთი-ორი სიტყვა უთხრა და გაქანდა საგულაოდ დუბაიში. ამაზე მთელ ქვეყანას განგაში უნდა აეტეხა. სამწუხაროდ, ხალხს არ ჰქონდა ადეკვატური რეაქცია. მოდით, ეს ახალი წლის განწყობას დავაბრალოთ. ამ დღეებში გამოვა ხალხი ეიფორიიდან და დავიწყებთ კიდევაც პრეზიდენტის წასვლის მოთხოვნით აქციებს.

***– გამოვა ხალხი ქუჩაში?***

– წესით, უნდა გამოვიდეს!

***– ასეთი აქციები გაიმართა 4 და 5 იანვარსაც, მაგრამ ბევრი ხალხი არ გამოსულა.***

– ეს ახალი წლის ბრალია. 21 იანვრისთვის ყველა იქნება გამოფხიზლებული. სწორედ ამ დღეს გასდის 5-წლიანი ვადა სააკაშვილს. მე მჯერა, რომ ამ დღეს აქციაზე ყველა გამოვა.

***– ყველაში „ქართულ ოცნებასაც“ გულისხმობთ?***

– რატომაც არა!

***– ივანიშვილი რომ ამის წინააღმდეგია?***

– შესაძლოა სულაც არ არის წინააღმდეგი. ის არის ახლა პრემიერი და ასეც უნდა მოიქცეს. ხალხი კი აუცილებლად უნდა გამოვიდეს! უცხოელები თუ დაიწყებენ კოჰაბიტაციაზე წუწუნს მან ხალხზე უნდა მიუთითოს და თქვას, რომ ეს არის ხალხის სამართლიანი ნება.

***– რატომ გვაძალებს დასავლეთი ასე ძალიან კოჰაბიტაციას. თუ ასეთი აუცილებელია, რატომ ვერ ახერხებს ამერიკა თალიბებთან კოჰაბიტაციას?***

– ეს გახლავთ შეთანხმების საგანი. შეთანხმება გაფორმდა 2003 წლის შემოდგომაზე. საქართველოში უნდა შექმნილიყო დემოკრატიული გარემო. სააკაშვილი კი ამის ვირტუალური გამმყარებელია. და რაკი არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება, ამიტომ გვაწვებიან ასე. არადა, ავიწყდებათ, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არავის არ აქვს. ევროპასა და ამერიკაში გამოსვლების დროს სააკაშვილი ხშირად უსვამდა ხაზს, რომ საქართველო არის სუვერენული ქვეყანა. სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება კი არავის არ აქვს.

***– გინდათ თქვათ, რომ სააკაშვილი არავის არ რევდა საშინაო საქმეებში?***

– მან ამერიკის ბევრი დაკვეთა შეასრულა. თუმცა, როცა სჭირდებოდა, მაშინ გაიძახოდა, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა. ასე მან ბევრი ძალადობა ჩაიდინა. ამერიკელებმა დაგმეს 26 მაისის სასტიკი დარბევა. ამაზე სააკაშვილმა თქვა: რას იზამდნენ ამერიკელები, მათთვის რომელიმე ძალას 4 ივლისს აშშ-ს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის უფლება რომ არ მიეცათო. ამის შემდეგ ვაშინგტონი გაჩერდა.

***– საინტერესოა, რას იზამდნენ ამერიკელები, მათ პრეზიდენტს 10 თვით რომ გაეხანგრძლივებინა თავისი უფლებამოსილება?***

– წარმოდგენაც კი არ მინდა, რა მოხდებოდა. თავზე დაიმხობდნენ ქვეყანას. თავის დროზე მოსმენების გამო პრეზიდენტ ნიქსონს თანამდებობა დაატოვებინეს. ჩვენთან კი არაფერზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ, ნურას უკაცრავად! ამერიკასთან ბოდიში, მაგრამ სააკაშვილის პარპაშის ატანას არ ვაპირებთ.

***–2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის გამო სააკაშვილი ვადამდე გადადგა. ერთი თვით შეიმცირა უფლებამოსილება. ამ დანაკლისს ხომ არ ინაზღაურებს?***

– სწორედაც რომ ინაზღაურებს. ეგ არის მეწვრილმანე თაღლითი. იმ დაკლებულ ერთ თვესაც კი არ გვაპატიობს. ის საქართველოს მოსახლეობას, როგორც დეგენერატებს, ისე გვეპყრობა. ისედაც ბევრი ვუთმინეთ და მეტის მოთმენა საჭირო აღარ არის. ჩვენ, „თავისუფალი საქართველო“, ყოველგვარ ძალადობას ვგმობთ. ამასთან აქტიურ კამპანიას დავიწყებთ, რომ 21 იანვრიდან ხალხი გამოვიდეს ქუჩაში. სააკაშვილს უნდა ვუთხრათ – „დავაი დასვიდანია“. უნდა წავიდეს, თორემ რაიმე შარში გაგვაყოფინებს თავს.

***– მეოცნებეები ამბობენ, რომ ის განიარაღებულია და არაფრის თავი აღარ აქვსო. თქვენი აზრით, დარჩენის შემთხვევაში სააკაშვილი შეძლებს მათთვის რამის „გაჩალიჩებას“?***

– თუ ესენი მიტევებას და კოჰაბიტაციის ძახილს თავს არ დაანებებენ, აუცილებლად „გაუჩალიჩებს“ რაღაცას. მერე დასხდნენ და იოცნებონ. წესით და რიგით „ქართული ოცნება“ უნდა აცნობიერებდეს, ვისთან აქვს საქმე. სააკაშვილი ვერაგი და საშიში კაცია. თანაც პოლიტიკური ინტრიგების დახლართვა კარგად ეხერხება. ამიტომაც სიფრთხილეა საჭირო. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს ოცნების წინააღმდეგ მზაკვრული გეგმა აქვს შემუშავებული, რომლის განხორციელებასაც მალე დაიწყებს.

***– გასული წლის თებერვალში თქვენმა პარტიამ გამართა აქცია ავღანეთიდან ქართველი სამხედროების გაყვანის მოთხოვნით. სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა ყურად არ იღო. ახლა თუ აპირებთ იმავე საკითხის დაყენებას, მით უფრო, რომ ამერიკამაც დაიწყო ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა.***

– ეს თემა აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. ავღანეთში უკვე 19 ქართველი სამხედრო დაიღუპა. მიმაჩნია, რომ საქართველოს იქ არაფერი ესაქმება! ახლო მომავალში ჩვენ აუცილებლად დავაყენებთ ამ მოთხოვნას.

***– როგორ გგონიათ, ახალი ხელისუფლება გაიზიარებს თქვენს პოზიციას?***

– წესით, უნდა გაიზიაროს. სააკაშვილი ავღანეთში ქართველი სამხედროების რაოდენობას ერთი მიზნით ზრდიდა. ამაში მას ფულს აძლევდნენ და სკამს უნარჩუნებდნენ. ჩვენი ბიჭები იქ საზარბაზნე ხორცად არიან, ეს კი ამათ ხარჯზე აღებული ფულით გულაობს. ამის ნათელი მაგალითია მისი ბოლო ქმედება. იმის მაგივრად, რომ ავღანეთში დაღუპული გიორგი კაკაძის დაკრძალვას დასწრებოდა, დუბაიში მოინდომა გასეირნება. მესმის, რომ ნაციონალებს აქვთ გარკვეული ვადით ხელშეკრულება გაფორმებული და მეოცნებეები ასე უცებ ვერ დაიწყებენ ჯარის გამოყვანას. საბედნიეროდ, არის გამოსავალი. აქ თუ სერიოზული აქციები დაიწყება, დასავლეთი ვერაფერს ველარ იტყვის.

# მოწუწუნე ანგელოზები

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

***არაერთგან გაჟღერდა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა შესახებ. საკუთარ თავსა და ოჯახზე მაქვს გამოცდილი, რასაც ნიშნავს უმიზეზოდ გათავისუფლება. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ძმასა და დედას უთხრეს, რომ ახალი გუნდი მოდიოდა სამუშაოდ და უნდა წასულიყვნენ. მოკლედ, შინაგანი პროტესტის მიუხედავად, უხმაუროდ დატოვეს საჯარო სამსახური სამი შვილის მამამ და ღირსების მედლის კავალერმა ორმა ადამიანმა. ბოლოს მეც მომადგნენ, ოღონდ, როგორც არასაჯარო პირს, ადვილად ვერ შემომიარეს თავი და რვასულიანი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა დამეკისრა. მოკლედ, არც ისე დიდი ხნის წინანდელი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, რატომღაც დიდი სურვილი გამიჩნდა, რომ რომელიმე პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულისთვის დამეჭირა მხარი.***

მალევე ვიპოვე ერთი გათავისუფლებული პირი, რომლის თანამდებობაც ,,ქართულის ოცნების“ მოსვლას შეეწირა. მოკლედ, გათავისუფლებული პირის დაცვის შესახებ რომ დამეწერა, მისი ოპონენტისთვისაც უნდა მომესმინა ტენდენციურობის თავიდან ასაცილებლად. ,,ანგელოზისებური“ ბუნების გათავისუფლებული ,,მსხვერპლი“ საბოლოოდ სამართლიანად გათავისუფლებულად მომეჩვენა, ჯერ კიდევ არ დასრულებულა მისი ახლო წარსულის კვლევა, აქიდან გამომდინარე, სახელსა და გვარს ვერ დავწერ. მოპოვებული ინფორმაციით, ეს გათავისუფლებული ადამიანი ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული გახლდათ, რომლის მადასაც შეეწირა: სოფლის ტრაქტორის მუშა ნაწილები (რომლების მოტანასაც ეტაპობრივად ახორციელებს თურმე ახლა), 12 ტონამდე ცემენტი, რამდენიმე ასეული ლიტრი დიზელის საწვავი, ფორტეპიანო, გარმონი, დოლი და 5 კილოგრამი ლურსმანი... სავარაუდოდ, ამ ყველაფერს ნელ-ნელა უკან დაუბრუნებს სოფელს, მაგრამ ამას ემატება სრული უპასუხისმგებლობა საერთო სასოფლო საქმისადმი და მისი მრავალტანჯული სახე ამჯერად ნაკლებად იმოქმედებს ალბათ ზემდგომების კეთილ განწყობაზე.

აჭარის ავტონომიის უმაღლეს ხელისუფლების ყოფილმა წევრებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ოქტომბრის ბოლოდან მიზანმიმართულად ხდება ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სამსახურებიდან დათხოვნა (გაჟღერდა, რომ აჭარაში სამი ათასი ,,ოცნებელი“ უნდა დასაქმდეს). წუწუნებენ სამეგრელოსა და იმერეთშიც. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა გელა მთივლიშვილმაც გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ნიშნით თელავიდანაც გაათავისუფლეს თანამდებობის პირები.

ერთი ძალიან მარტივი კითხვა მინდა დავსვა: ის პირები, რომლებიც ახლა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებად მიიჩნევენ თავს, როდის დაინიშნენ თანამდებობებზე? ალბათ კომუნისტური ეპოქიდან ან ნიკოლოზის დროიდან არა! მათი უმეტესობა ,,ნაციონალების“ ზეობის დროს აღზევდნენ და ძალიან საინტერესოა, როდის დაინტერესდნენ იმით, რომ მათ პოსტებზე დანიშვნას შეეწირა წინა ხელისუფლების დროს დანიშნულების კარიერა?

ორი ძალიან ღრმა საფუძველი იმის, რომ ახლა გათავისუფლებულების წინამორბედების დიდი პროტესტი არ გამოხატულა, გახლდათ შემდეგი: ,,ნაციონალური მოძრაობა“ საქმეებს პროტესტანტების წინააღმდეგ ან მოიძიებდნენ, ან ,,შეკერავდნენ“ და თან ფინანსური თვალსაზრისით არ ღირდა სამსახურში აღდგენა. ეს ის დროა, როცა ტერიტორიული ორგანოების მუშაკების ხელფასები ორნიშნა ციფრით გამოიხატებოდა (50 ლარამდე) და ,,სემიჩკის“ ფულისთვის არ ღირდა დაპირისპირება უზარმაზარ პოლიტიკურ მონსტრთან. ამჯერად იმავე ხელისუფალთა სარგოები სამ და ოთხციფრიანი რიცხვებით გა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზურაბ ადეიშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება

## მისცემს თუ არა ბელგია იუსტიციის ყოფილ მინისტრს პოლიტიკურ თავშესაფარს

შორენა მარსაგიშვილი

**არჩილ კბილაშვილის "სმაილიკიმა„ დაგვიანებით, მაგრამ იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს მაინც გაუღიმა. არჩევნების შემდეგ გაუჩინარებულ ნამინისტრალზე ბევრი ჭორ-მართალი ვრცელდება. მის სახელს ბევრი ცუდი საქმე უკავშირდება. ზურაბ ადეიშვილის უხილავი ხელი თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს.**

ამ საქმეებზე სასაუბროდ ადეიშვილი ჯერ კიდევ წინა წელს დაიბარეს პროკურატურაში. მასთან გასაუბრებით შსს-ც დაინტერესებული იყო. დაკითხვაზე მოსაწვევიც გაუგზავნეს, მაგრამ ადეიშვილი არ გამოჩნდა. ის არც სამშობლოში დაბრუნებულა. ამიტომაც გადაწყდა, რომ მასზე ძებნა გამოცხადდეს. მანამდე პროკურატურამ ნამინისტრალს ბრალი წაუყენა. 5 იანვარს კი მთავარმა პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ ზურაბ ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მიმართა.

– პროკურატურა სასამართლოში ზურაბ ადეიშვილისთვის პატიმრობის შეფარდებას, ზურაბ ადეიშვილის სახელზე გაცემული სამი დიპლომატიური პასპორტის და ზურაბ ადეიშვილის სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერებას ითხოვს. მთავარ პროკურატურას მიზანშეწონილად მიაჩნია ზურაბ ადეიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პატიმრობა, შემდეგ გარემოებათა გამო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია ოთხი საფუძველი, რომლითაც შეიძლება გამართლდეს პირისათვის პატიმრობის შეფარდება. ფაქტობრივად იგივე საფუძვლებია გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. განსახილველ საქმეზე ბრალდებულ ზ. ადეიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოსაყენებლად სახეზე გვაქვს ზემოთ მითითებული სამივე გარემოება. სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 04 იანვრის, წერილის თანახმად ზურაბ ადეიშვილმა 2012 წლის 02 ოქტომბერს გადაკვეთა საქართველოს საზღვრის საკონტროლო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი"-ს გავლით, დიპლომატიური პასპორტის გამოყენებით და დღემდე იგი უკან არ დაბრუნებულა. ზ. ადეიშვილმა დატოვა საქართველოს ტერიტორია მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ იმყოფებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, თუმცა იგი საქართველოში აღარ დაბრუნდა არც მისი უფლებამოსილების ვადის შეწყვეტამდე და არც ახალი მთავრობის უფლებამოსილების ცნობის შემდგომ. საქართველოს შს სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემებით კი დასტურდება, რომ ზ.ადეიშვილის მეუღლემ და მისმა შვილებმა, საქართველოს ფარგლები დატოვეს 2012 წლის 19 ნოემბერს და უკან არ დაბრუნებულან. ზ. ადეიშვილმა გაწყვიტა კავშირი ქვეყანასთან, ბოლო ორი თვის განმავლობაში იგი თავის ცოლ-შვილთან ერთად აღარ იმყოფება საქართველოში და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ზ. ადეიშვილის რეგისტრაციის მისამართზე მდებარე ბინა აღმოჩნდა დაკეტილი – მეზობლის განმარტებით, „ზ.ადეიშვილი და მისი ოჯახი აღნიშნულ ბინაში არ იმყოფებიან და მათი ადგილსამყოფელი უცნობია" ბრალდებულ ზურაბ ადეიშვილის მამისთვის – შ.ადეიშვილისათვის ასევე უცნობია მისი შვილის ადგილსამყოფელი.



2012 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გარემოებების გაასაჯაროა, რითაც საზოგადოების ფართო მასებისთვის ცნობილი გახდა საქმის გარკვეული დეტალები და კონკრეტულად ის გარემოება, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა გეგმავდა ზ.ადეიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას კონკრეტული ბრალდებებით. ზ.ადეიშვილის მოსალოდნელი ბრალდების შესახებ წინასწარი განაცხადი განთავსდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და გადაიცა მასობრივი ინფორმაციის საშაულებებით.

ვინაიდან ვერ მოხერხდა ზ. ადეიშვილთნ დაკავშირება და ვერც მისი ადგილსამყოფელის დადგენა, ბრალდების შესახებ დადგენილება ჩაბარდათ ზ. ადეიშვილის მამის მიერ დასახელებულ ადვოკატებს – ი.გრძელიძეს და გ.სვანიძეს. 2012 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, კვლავ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია ზ.ადეიშვილის მიმართ ბრალის წარდგენის შესახებ. ამრიგად, ზ. ადეიშვილისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა. დადგენილება ზ. ადეიშვილის ბრალდების შესახებ, სათანადო წესით ჩაბარდათ მის ადვოკატებს, რის შემდეგაც გასულია შვიდი დღე და მიუხედავად ამისა, იგი არიდებს თავს გამოძიებაში გამოცხადებას, რითაც აშკარად უშლის ხელს გამოძიებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2013 წლის 04 იანვრის მდგომარეობით, ზ.ადეიშვილის სახელზე საქართველოში ოფიციალურად არ ირიცხება არანაირი უძრავი ქონება. მაშასადამე, იმის მხედველობაში მიღებითაც, რომ ზ. ადეიშვილმა გაიყვანა მისი ცოლ-შვილი საქართველოდან და მათი ადგილსამყოფელი უცნობია, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ზ.ადეიშვილს საქართველოში ყოფნის და/ან დაბრუნების მოტივაციები არ გააჩნია.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ზ. ადეიშვილს მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ეკავა არაერთი უმაღლესი თანამდებობა, რის გამოც მას გააჩნია ფართო და მნიშვნელოვანი კავშირები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ონფორმაციით, ზ. ადეიშვილის სახელზე გაცემულია სამი დიპლომატიური პასპორტი, რომლეთა მოქმედების ვადა არ ამოწურულა.

დიპლომატიური პასპორტების გაცემისა და სარგებლობის წესი რეგულირდება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ნოემბრის №941 ბრძანებულებით

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №944 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებულებაში და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდა ზოგიერთ პირს თანამდებობიდან გათავისუფლების ან უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში.

ბრალდებული ზ. ადეიშვილი, როგორც საქართველოს იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრი წარმოადგენდა სწორედ იმ თანამდებობის პირს, 2012 წლის 12 ნოემბრის ცვლილების თანახმად შეუნარჩუნდა დიპლომატიური პასპორტის მოქმედების ვადა მისი უფლებამოსილების ამოწურვიდან დამატებით 1 წლის განმავლობაში.

საქართველოს შესაბამისი უწყებების ოფიციალური მონაცემებით, ზ. ადეიშვილის მფობელობასა და სარგებლობაში ამჟამად არის 3 დიპლომატიური პასპორტი და ერთი საქართველოს მოქალაქის პასპორტი. დიპლომატიური პასპორტები მას აძლევს საშუალებას ისარგებლოს დიპლომატებისათვის დადგენილი უცხო ქვეყანაში შესვლის გამარტივებული პროცედურებით და პრივილეგიებით და საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილდეს საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გავლის გამარტივებული პროცედურებით.

მთავარი პროკურატურა მოითხოვს სასამართლომ ბრალდებულ ზურაბ ადეიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, მხედველობაში მიიღოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ბრალდების განსაკუთრებული სიმძიმე და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც საქართველომ იკისრა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღკვეთის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სტრასბურგის აქტებით.

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ დაპატიმრებულ და სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა დაცვის გაძლიერება და მათი უფლებების პატივისცემა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს საერთო მოვალეობას და ამგვარი პირების მიმართ სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას.

მთავარი პროკურატურა მიიჩევს, რომ ადეიშვილის ბრალდების საქმის კონკრეტული და სპეციფიური გარემოებების, მისი პიროვნების, საქმიანობის, ყოფილი მაღალი თანამდებობრივი სტატუსის, სახელმწიფოსთან არსებული და დარჩენილი კავშირების, ასევე მისი კავშირების ქვეყნის შეიგნით და ქვეყნის გარეთ, მისი გადაადგილების თავისუფლების, მისი ბრალდების შესახებ ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის და მისი როგორც ყოფილი იუსტიციის მინისტრის თანამდებობრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენების გათვალისწინებით, არსებობს ბრალდებულ ზურაბ ადეიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისა და მის სახელზე გაცემული დიპლომატიური პასპორტების და საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების აბსოლუტურად დასაბუთებული, სამართლიანი და კანონიერი გარემოებები, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ადეიშვილის 4 პასპორტს მოქმედების ვადა შეუჩერა. მას სასამართლომ დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა. მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაც იგეგმება. ამაში კი პროკურატურა დახმარებას შსს-ს სთხოვს.

მთავარმა პროკურატურამ 29 დეკემბერს განაცხადა, რომ იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს ბრალი ციხეში პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის პროვოცირების საქმესთან დაკავშირებით წაუყენა.

ზურაბ ადეიშვილმა საქართველო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დატოვა, შესაბამისად მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში (332-ე მუხლის მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის ბ და გ ქვეპუნქტები), პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზებაში (1443 მუხლის მეორე ნაწილის ა, ბ, დ, ე, ზ და თ ქვეპუნქტები), განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციისა (3691 მუხლის მესამე ნაწილი) და დანაშაულთა პროვოკაციის (145-ე მუხლი) ორგანიზებაში.

საქმე ეხება არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, 18 სექტემბერს ციხის სკანდალური კადრების გავრცელებამდე რამდენიმე საათის წინსწრებით შსს-ის მიერ გავრცელებულ კადრებს, სადაც ციხის ორი თანამშრომელი პატიმარს სცემს საკანში. შსს-მ მაშინ განაცხადა, რომ ამ ქმედების პროვოცირება „ქართულ ოცნებასთან" ასოცირებული პატიმრის შეკვეთით განხორციელდა.

მთავარი პროკურატურის მტკიცებით, ეს კადრები ზურაბ ადეიშვილის ორგანიზებით და დაკვეთით დაიდგა მას შემდეგ, რაც ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა სექტემბრის დასაწყისში შეიტყო ინფორმაცია, რომ არსებობდა გლდანის ციხეში გადაღებული პატიმართა ცემისა და წამების ვიდეომასალა, რომელიც შესაძლოა არჩევნების წინ გამოქვეყნებულიყო.

გამოძიების განცხადებით, 17 სექტემბერს – სკანდალური კადრების გავრცელებამდე ერთი დღით ადრე, ადეიშვილმა თავის კაბინეტში დაიბარა მაშინდელი მთავარი პროკურორის მოადგილე დავით ჩხატარაშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი დავით ჭაკუა, რომელმაც თანამდებობა პატიმართა არაადამიანური მოპყრობისა და გაუპატიურების კადრების გავრცელების დღესვე დაკარგა. პროკურატურის ინფორმაციით, ადეიშვილმა ჭაკუას დაავალა გლდანის ციხეში წინასწარ შერჩეული პატიმრების მიმართ დამცირების, წამების, ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ორგანიზება და ამ ფაქტის ვიდეოგადაღება, რათა სკანდალური კადრების მოსალოდენლ გავრცელებამდე საზოგადოებას შექმნოდა აზრი, რომ ისინი არ შეეფერებოდა სინამდვილეს და გადაღებული იყო „ქართული ოცნების" დავალებით გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ იმისთვის, რომ მაშინდელი ხელისუფლების იმიჯს ზიანი მიდგომოდა.

გამოძიების განცხადებით, ეს დავალება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომლის მონაწილეობით 18 სექტემბერს გამთენიისას განხორციელდა ისე, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ, რომლის მიერ გადაღებული კადრები და „ცრუ" აღიარებითი ჩვენება თითქოსდა პატიმართა ცემა „ქართული ოცნების" წარმომადგენლების შეკვეთით ხდებოდა შსს-მ 18 სექტემბერს გაავრცელა, წინასწარ იცოდა სამი თვით მისი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ, რაც „ასევე შეთანხმებული იყო ზურაბ ადეიშვილთან".

უფრო ადრე, ადეშვილი იუსტიციის მინისტრი შსს-ში ერთი კვირის წინ მოწმის სახით დაიბარეს დაკითხვაზე სხვა საქმესთან დაკავშირებით, რომელიც „ბანკი ქართუს" გაკოტრების მიზნით წინა ხელისუფლების სხვადასხვა რგოლების მიერ შეთანხმებულ და ორგანიზებულ მცდელობას ეხება. ადეიშვილი დაკითხვაზე არ გამოცხადებულა.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ცნობა, რომ ადეიშვილმა პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა ბელგიას. ამ ინფორმაციას არც ნაციონალები და არც ადეიშვილის ადვოკატი არ ადასტურებენ.

# მოწუწუნე ანგელოზები

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნისაზღვრებოდა. ბუნებრივია, 50 ლარიანი ხელფასის მქონე რწმუნებული უფრო ადვილად დათმობდა პოსტს, ვიდრე 1000 ლარიანი ადმინისტრაციული რესურსი. მართლაც და რამდენი იშრომეს ადმინისტრაციულმა რესურსებმა, მათი უმეტესობა წინასაარჩევნოდ ფასიან შვებულებაში გავიდა და განათების სვეტებსა თუ ხეებზე დიდი მონდომებით აკრავდნენ სააღდგომო ფერის პოლიტიკურ ემბლემებს, მაგრამ ფინალში მაინც წააგეს... რასაკვირველია, ათასლარიანი თანამდებობა ბევრად უფრო ძნელი დასათმობია, ვიდრე ორმოცდაათლარიანის!

არასდროს ყოფილა იმდენი უფლებადამცველი ორგანიზაცია საქართველოში, დღეს რომ არის წარმოდგენილი. მათი საქმიანობა პოლიტიკური უფლებების დაცვაცაა და უნდა მიმართონ გათავისუფლებულმა. სახალხო დამცველის აპარატიც სრულ მზადყოფნაშია. შორით ცრემლვა გათავისუფლებულებს არაფერს მოუტანს. თუ სუფთა წარსულის არიან გათავისუფლებულები, მათ აღდგენას „კუბლაშვილის სასამართლო" უნდა უზრუნველყოფდეს.

ჩემი არც მაინცდამაინც მოკრძალებული აზრი ასეთი გახლავთ: „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ყველა ბიუროკრატიულ საფეხურზე სისტემურად შესაცვლელია, თუ მათ აქვთ გადაცდომები და დანაშაულები. სანთლით საძებნი უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის" ანგელოზისებური ბუნების წევრები. საერთოდ, პოლიტიკაში წასულთა შორის ნაკლებად ვეძებ ანგელოზებს, თუ არ ჩავთვლით „პადშიი ანგელებს", რომლებსაც რუსულად „დიავოლ" ეწოდება.

# ნანა კაკაბაძე; „ამნისტია კრიმინოგენურ ფონს არ გააუარესებს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*– ქალბატონო ნანა, მოდით, საუბარი ამნისტიის თემით დავიწყოთ. თქვენ აქტიურად ხართ ამ პროცესში ჩართული. რა მდგომარეობაა დღეისათვის? ვიცით, რომ პრეზიდენტმა ვეტო დაადო პროექტს, პარლამენტმა კი დაამტკიცა საკითხი. ამ ეტაპზე რა ხდება, როდის გათავისუფლდებიან პატიმრები?*

– 11 რიცხვში უმთავრდება სააკაშვილს ვადა და, თუ ამ დროისათვის ის არ მოაწერს ხელს, პარლამენტს დაუბრუნდება და პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერს ხელს.

*– პატიმრებისთვის, რომლებიც ამდენი ხანია ელიან გათავისუფლებას, ეს პროცესი მძიმე ასატანია.*

– რასაკვირველია, მათთვის რთულია. ეს ცუდი პროცესია, პატიმრები ახალი ხელისუფლების პირობებში უკანონოდ იმყოფებიან ციხეებში.

*– პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ბევრი უკმაყოფილება გამოითქვა, ითქვა ისიც, რომ ბევრი მათგანი უსამართლოდ ზის ამ სიაში.*

– იმას, რომ არასაკმარისი სიაა, ვეთანხმები. ის, რომ არასწორად ჩასმულია, მაშინ კონკრეტულად უნდა დასახელდეს, ვინ არის არასწორად ჩასმული, იმიტომ რომ, ზოგადი საუბარი ნიშნავს, დღეს ეს პიარი ააგორა ხელისუფლებამ და იმ ადამიანებმა, რომლებიც შეიძლება უშუალოდ ხელისუფლებას არ წარმოადგენენ, მაგრამ არაპირდაპირ იმ ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. ვინ არის არასწორად ჩასმული, უნდა დასახელდეს. აი, ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს კამათიც, დავაც, მაგრამ მანამ, სანამ არ დასახელდება, კონკრეტულად რომელია არასწორად ჩასმული, მანამდე ეს მხოლოდ და მხოლოდ ძველი ხელისუფლების მიერ წამოწყებული პიარის ნაწილია.

*– კრიმინოგენური ფონი დამძიმდება ამ ამნისტიითო... თქვენი დამოკიდებულება როგორია ამასთან დაკავშირებით?*

– კრიმინოგენური ფონი ამნისტიის შედეგად ნაკლებად შეიძლება დამძიმდეს, იმიტომ რომ იქ გათვალისწინებულია მუხლები, გათვალისწინებულია შეღავათები. მძიმე დანაშაულებზე არის ერთი მეოთხედი, ნაკლებად მძიმეებზე სასჯელის განახევრება, მსუბუქ სასჯელებზე – სრული გათავისუფლება, ანუ ეს ყველაფერი გათვალისწინებულია. მძიმე მუხლებს როცა ვგულისხმობთ, თქვენ იცით, რომ შეკრებითობის კანონი მძიმე დანაშაულებისთვის 25-30 წელს ითვალისწინებდა და, როდესაც ამნისტია ერთი მეოთხედით ეხება ასეთ მუხლებს, იქ ოთხი და ხუთი წლის ჩამოკლება, ბუნებრივია, არ გულისხმობს გათავისუფლებას. მათ კიდევ რჩებათ 20 და 22 წელი. აქედან გამომდინარე, ეს სულაც არ ნიშნავს გათავისუფლებას და არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. თუ პირი ათი წლის განმავლობაში არ გამოსწორდა, ის არც ოცი წლის განმავლობაში გამოსწორდება და არც 30 წლის განმავლობაში. ოდესღაც ყველა დამნაშავე ხომ გათავისუფლდება? ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რამდენად ადეკვატური იყო ეს სასჯელები. ბუნებრივია, ასეთი არაადეკვატური სასჯელების შემთხვევაში ისედაც უნდა ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან რაღაცა გარკვეული ალტერნატივა, იმიტომ რომ საყოველთაოდ ცნობილია, შეკრებითობის კანონი უზრუნველყოფდა მცირედ გადაცდომაზეც კი ძალიან დიდ სასჯელს, რაც არ იყო სამართლიანი. ასევე თქვენ იცით, რომ პატიმრებმა ციხეებში გადაიტანეს უსაშინლეს პირობები. ეს იყო წამება, ღირსებისშემლახავი მოპყრობა და ხელისუფლებას, ბუნებრივია, ვალდებულებაც ჰქონდა, რომ ეს მდგომარეობა გაეთვალისწინებინა და, აქედან გამომდინარე, ეზრუნა ამნისტიაზე. რაც შეეხება კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებას, ეს უფრო შეიძლება ვეძიოთ იმ შეწყალებებში, რომელსაც პრეზიდენ-




ტი ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ მე ყველა პატიმრის გათავისუფლების მომხრე ვარ და ვფიქრობ, რომ ციხე არ არის გამოსწორების ერთადერთი გზა და ხელისუფლება და სახელმწიფო სხვა გზებს უნდა ეძებდეს იმისათვის, რომ კრიმინოგენური ფონი შემცირდეს, ამის მიუხედავად, ბუნებრივია, ციხე თუკი არსებობს ქვეყანაში, არსებობს იმისათვის, რომ იქ ისხდნენ დამნაშავეები. თუ გადავხედავთ მუხლებს, არა გვარებსა და სახელებს, არამედ მუხლებს, რომელი მუხლებითაც პრეზიდენტმა ბოლო პერიოდში გაათავისუფლა ადამიანები, დავინახავთ, რომ სწორედ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი ადამიანები ჰყავს მას შეწყალებული. ჩვენსავით მათ ოთხი-ხუთი წელი კი არ მოაკლო, არამედ 20-25 წელი აქვს გარეთ გატანებული, ანუ მათ 20-25 წელი აქვთ ნაპატიები და გაშვებული ჰყავს ხალხი გარეთ.

*– ეს მიზანმიმართულად ხდება მისი მხრიდან ფონის დასამძიმებლად?*

– დიახ, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი, თუმცა, მე ვიცი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მზად არის ამისათვის და ისინი ფიქრობენ, რომ ამ პრობლემასაც დაძლევენ, ისე, როგორც სხვა უამრავი პრობლემაა დასაძლევი, რომელიც ამ ხელისუფლებამ მემკვიდრეობად დაუტოვა როგორც ქართველ საზოგადოებას, ისე ახალ ხელისუფლებას.

***– ქალბატონო ნანა, რაც შეეხება ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, თქვენც იცით, რომ ახალი 2013 წელი აქციებით დაიწყო. მიხეილ სააკაშვილს 5 იანვარს გაუვიდა საპრეზიდენტო ვადა და საზოგადოების საკმაოდ დიდი ჯგუფი მისი გადადგომის მოთხოვნით გამოდის. როგორ ფიქრობთ, რამდენად შედეგიანი იქნება ეს აქციები?***

– სხვა ქვეყნებშიც არსებობს კონსტიტუცია, რომელიც თავის თავში გულისხმობს, რომ შეიძლება პრეზიდენტი იყოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი, თუმცა ასეთი მოდელი ჩვენი ქვეყნისთვის, ასეთი პოლიტიკური სიტუაციისთვის არასწორი და გაუმართლებელია. კი ბატონო, ასეთი მოდელიც ყოფილიყო ასატანი, რომ ეს პრეზიდენტი არ იყოს ქვეყანაში დესტრუქციული ძალის წარმომადგენელი. სამწუხარო რეალობაა ის, რომ დღეს სააკაშვილი არის სწორედ ის დესტრუქციული ძალა, რომელიც ქვეყნისთვის არის საშიში, სახელმწიფოსთვის არის საშიში. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არათუ ვადის გახანგრძლივება, არამედ ის ვადაც კი იყო ძალიან მძიმე, რა ვადაშიც ჩვენ ეს პრეზიდენტი უნდა აგვეტანა, როგორც ქვეყნის პირველი პირი. ბუნებრივია, როდესაც მას საკონსტიტუციო ვადა ამოეწურა, ის უნდა ყოფილიყო გადამდგარი და არჩევნები უნდა იყოს დანიშნული სწორედ იმ ვადის ამოწურვისთვის და არა იმ დროისთვის, როცა ის კონსტიტუციაში პირდაპირ იპარავს და ვადებს იხანგრძლივებს ათი თვით და არჩევნებს ნიშნავს ოქტომბერში. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი, მაგრამ თქვენ იცით, რომ პარლამენტი იყო ის ორგანო, სადაც ნებისმიერი სიგიჟის დაკანონება შეეძლოთ პრეზიდენტსა და მის უმრავლესობას. სწორედ ასეთი სიგიჟის, გაუმართლებლობისა და უსამართლობის ნათელი მაგალითია ის ვადა, რომელიც არის დათქმული ოქტომბრისათვის. ბუნებრივია, საზოგადოებას გაუჩნდა აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანი პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხმა, ერთი მხრივ, გააკეთა არჩევანი იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალოს ხელისუფლება, შეიცვალოს სწორედ სააკაშვილის ხელისუფლება. მართალია, ეს მოხდა საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ცვლილება, ხალხის ეს აჯანყება საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს აჯანყება ხალხმა საარჩევნო ყუთებთან გამოხატა, გულისხმობდა იმას, რომ გადაერჩინა ეს ხელისუფლება სააკაშვილის თამადობით. ხალხის სურვილი იყო, რომ სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხელისუფლებას ჩამოსცილებოდა. ამ არჩევნების შემდეგ კი დავდექით ფაქტის წინაშე, რომ, მართალია, პარლამენტში უმრავლესობით მოვიდა „ქართული ოცნება“, მაგრამ ხელისუფლებაში ისევ დარჩა სააკაშვილი და მისი მმართველი გუნდი, თანაც საკმაოდ სერიოზული ძალით დარჩნენ. ამან კი საზოგადოების ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია.

*– რა შედეგის მომტანი იქნება ეს აქციები?*

– რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს ეს აქციები. თუ ეს აქციები იქნება სწორად ორგანიზებული და დაგეგმილი და ეს იქნება გათვლილი მართლაც ქვეყნის ინტერესებზე და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმოჩენაზე თუ პიარზე, რა თქმა უნდა, ეს უნდა იქნება შედეგის მომტანი, ოღონდ, გავიმეორებ, ეს უნდა იყოს სწორად ორგანიზებული და გათვლილი უნდა იყოს ქვეყნის ინტერესებზე. ეს ახსნილი უნდა იქნეს ასევე დასავლეთისთვის, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, ეს საკონსტიტუციო ვადა დასრულდეს, ისე, როგორც ეს არის კონსტიტუციაში. ის, რომ პრეზიდენტს მოპარული აქვს ათთვიანი ვადა, სწორედ ეს არის ნიმუში იმდროინდელი პარლამენტის მონობისა და არა საკანონმდებლო ხარვეზისა. უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენ არ გვინდა, იმ მონური პარლამენტის მიერ დარღვეული სამართლიანობა ზეიმობდეს და პრეზიდენტი ამ უსამართლოდ დაკანონებული ვადით აგრძელებდეს ქვეყნის მართვას. ასეთი მოთხოვნები თუ სწორად იქნება მიწოდებული და იქნება მოთხოვნილი, რა თქმა უნდა, ნამდვილად იქნება შედეგიანი. ხალხის ეს მოთხოვნა არის სწორი და სამართლიანი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პრეზიდენტი არჩეული იყო ხუთი წლით და მაშინ რა არის ეს ათთვიანი ვადა, რა პერიოდშიც სააკაშვილს უნდა ქვეყნის მართვა. ახსნას იმავე ნაციონალურმა მოძრაობამ, რას ნიშნავს ეს ვადა და რატომ უნდა იყოს ის ქვეყნის პირველი პირი, თუკი მას კონსტიტუციით განსაზღვრული აქვს ხუთწლიანი ვადა. დღეს სახეზე გვაქვს კვაზი კანონი კონსტიტუციაში, რომელიც არის მოკლებული აზრსა და სამართლიანობას. დღეს ამ კვაზი კანონით ის უსამართლოდ იხანგრძლივებს თავის ვადას და ეს არის საზოგადოების აღშფოთების საგანი. ძალიან ცუდია, რომ დასავლეთი არ ითვალისწინებს ქართველი ხალხის მოთხოვნას და ის დღევანდელ ხელისუფლებას აიძულებს, რომ ეს უსამართლობა არ იქნეს დაძლეული და ქვეყანა არ გადავიდეს სამართლიან რეჟიმში. ეს ძალიან ცუდია და, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საზოგადოების პოზიციის დაფიქსირება არის ძალიან მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ეს არ იქნება გადამწყვეტი.

*– მაშინ რა აზრი აქვს ამ აქციებს, თუკი არაფერი შეიცვლება?*

– აქციები, ერთი მხრივ, შეცვლის იმას, რომ საზოგადოება დაანახვებს დასავლეთს, რომელიც ასე აქტიურად ერევა ჩვენს შიდა პოლიტიკაში, დაანახვებს დასავლეთს, რომ ჩვენ არ გვინდა, უკანონოდ, უსამართლოდ გვყავდეს ქვეყნის პრეზიდენტი. აქ გარკვეული ძალის დემონსტრირება ნამდვილად არის საჭირო, თუმცა, ვისაც ამის დანახვა უნდა, ამას დღესაც ხედავს და, ვისაც არ უნდა, რომ დაინახოს, არც აქციების შემდეგ დაინახავს. მთავარია, რომ დღეს ამ ძალის დემონსტრირება სწორად მოხდეს, რომ ეს სათავისოდ არავინ გამოიყენოს.

*– ქალბატონო ნანა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ამ აქციების დაწყებას სააკაშვილმა თავისი ხუთპუნქტიანი ინიციატივა შეაგება. როგორ გაიგეთ თქვენ პრეზიდენტის ინიციატივა?*

– ჯერ თავისთავად ჩაციკვლა ამ ხუთიანზე ამაზრზენს ხდის მის ამ სულელურ პიარს. ხალხს უკვე შესძულდა ხუთიანი, ხუთი რიცხვი, ხუთპუნქტიანი და მას უნდა, რომ მთელი ქვეყანა ამ ხუთი რიცხვის ირგვლივ ტრიალებდეს. როდესაც კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და თანაარსებობაზეა საუბარი, უპირველესად ყოვლისა, ეს მასზე იყო დამოკიდებული და მას უნდა გამოეჩინა ინიციატივა. თუნდაც მისი შეწყალების პროცესი რომ ნახოთ, რას ეფუძნება, რომ გაიშიფროს ეს ყველაფერი, კარგად დავინახავთ, რამდენად კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ არის გადადგმული ეს ნაბიჯი. მან არჩევნებამდე ორი ათასი პირი შეიწყალა. რომელი ადამიანებიც მას სჭირდებოდა წინასაარჩევნოდ, კრიმინალური სიტუაციების მართვისათვის და დღესაც, არჩევნების შემდეგ, ასევე ორი ათასი პირი ჰყავს შეწყალებული და, კაცმა არ იცის, ეს ოთხი ათასი ადამიანი რისთვის უნდა მას, რომ გამოიყენოს და ის გველაპარაკება კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე?! მას დასავლეთის დასანახავადაც სჭირდება მსგავსი განცხადებების კეთება, თუმცა, ვისაც რეალობის დანახვა უნდა, ის ყველაფერს მშვენივრად ხედავს და ვისაც არ უნდა ამის დანახვა, ვერც შემდეგში დაინახავს. დღეს ასეთი ომი ატეხა ზოგიერთმა საერთაშორისო ექსპერტმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით და არ ინტერესდებიან იმ შეწყალებებით, რომელსაც პრეზიდენტი ახორციელებს, თუ რა კატეგორიის დამნაშავეები გადიან გარეთ. ამაზე არანაირი კითხვა არ უჩნდებათ იმ არასამთავრობოებს, რომლებიც ასეთი დიდი ლუპით უყურებენ პოლიტპატიმრების საკითხს.

# გუგული მაღრაძე: „ნაციონალებისგან რევანშს არ ველით“

შორენა კოწოწაშვილი

**როდიდან იგრძნობს მოსახლეობა სოციალური და სახალხო ბიუჯეტის სიკეთეებს და გაისტუმრებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი მთავრობის დათხოვნას? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული ოცნების" წევრთან, დეპუტატ გუგული მაღრაძესთან.**

*– ქალბატონო გუგული, როგორ შეაფასებდით პოლიტიკური თვალსაზრისით გასულ წელს და რაზე დაყრდნობით აცხადებდა საპარლამენტო უმცირესობა, რომ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება გაუჭირდება?*

– უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ 2012 წელი საქართველოს ისტორიაში მართლაც გარდატეხის და კარგ წლად შევა, იმიტომ რომ ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით მოახერხა ის, რაც ძალიან ძნელი იყო ჩვენნაირ ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, მართავდა ავტოკრატიული ხელისუფლება. სააკაშვილის ხელისუფლება აბსოლუტურად ყველაფერს აკონტროლებდა. მათ შორის ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა არჩევნების გაყალბებაში, ხალხის დაშინებაში და ა.შ. გახსოვთ წინასაარჩევნო პერიოდი, ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე დავდიოდით, რომ როგორმე არჩევნებამდე მივსულიყავით და ხალხს საკუთარი ნება გამოევლინა.



ხალხისა და დასავლეთის მზაობამ არჩევნებში ქართველი ხალხის გამარჯვება დაამტკიცა. როდესაც ქუჩაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა და მანიფესტაციებში მიიღო მონაწილეობა, ასეთ დროს ძალიან ძნელია, ხალხის გვერდით არ დადაგე. ამან გააკეთა ის, რომ საქართველოში ის დრო, ეპოქა დადგა, სადაც ადამიანებს, როგორც მინიმუმ, აქვთ თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალება. ასე რომ, 2012 წელს ძალიან დიდი მოვლენა მოხდა. ამ მოვლენას მერე გამართლება მართვაში სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც სამი თვე გავიდა არჩევნების შემდგომ, მე ვიტყოდი, რომ ხელისუფლების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში უკვე ჩანს, რომ ის დაპირებები ცარიელი სიტყვები არ არის. ბიუჯეტი ყოველთვის არის სარკე და ასახვა იმისა, რას ამბობს პოლიტიკური ძალა. როდესაც ნაციონალური მოძრაობა ამბობდა, ჩვენ ხალხზე ვზრუნავთო და ა.შ. და მინიმალური თანხები იყო სოციალურ ხარჯებზე, ჯანდაცვაზე, გაუქმებული იყო ჯანდაცვის უამრავი პროგრამა, იგივე კიბოს პროგრამა, ასეთ დროს არავის სჯერა ცარიელი ლაპარაკისა. ბიუჯეტი არის სარკე და ჩვენი ბიუჯეტი, რომლის მეოთხედიც ჯანდაცვასა და სოციალურ პროგრამებზე მოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ დაპირება სრულდება. ამ პროგრამების მთლიანი დაფინანსება 2 მილიარდს შეადგენს. ეს ადასტურებს იმას, რომ, „ქართული ოცნების“ დაპირება, რომ ახალი ხელისუფლება ორიენტირებული იქნებოდა ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე, სოციალურ დაცვაზე და სხვა, ცარიელი სიტყვები არ არის. ამას უკვე ბიუჯეტის ციფრები ადასტურებს. ეს არის უკვე ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი იმ ვალდებულებებისა თუ დაპირებების შესრულებისა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ იტვირთა ქართველი ხალხის წინაშე.

***– სამართლიანობის აღდგენის ეგიდით მიმდინარე პროცესებიც არასწორი ინტერპრეტაციით ხდება კრიტიკის საგანი?***

– ის, რომ სამართლიანობა აღდგება, ჩვენ ვხედავთ, რომ წინა ხელისუფლების ძალიან ოდიოზური ფიგურები მხოლოდ მაშინ არიან დაპატიმრებული, როდესაც მათ მიმართ კონკრეტული და საკმარისი სამხილები არსებობს. მესმის, ხანდახან საზოგადოება ნაწყენიც კი არის იმის გამო, რომ შედარებით ნაკლები დანაშაულისთვის იბარებენ პროკურატურაში ამა თუ იმ პირს, როცა ყველამ იცის, რომ წინა ხელისუფლებას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს იმიტომ ხდება, რომ სამართლიანობამ უნდა იზეიმოს და მხოლოდ მაშინ მიეცნენ ადამიანები პასუხისგებაში, როცა მათ წინააღმდეგ სათანადო მტკიცებულებები არსებობს. თქვენ ხედავთ, რომ ძალიან ცოტა ადამიანი იქნა წინასწარ ორთვიან პატიმრობაში გამწესებული, რაც წინა ხელისუფლების დროს, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო.

***– სოციალური პროექტები როდიდან ამოქმედდება?***

– თებერვლიდან გამოცხადებულია დაზღვევის პროგრამის დაწყება. უკვე იანვრიდან გაორმაგდება სოციალური შემწეობები, მოიმატა პენსიებმა. სექტემბრიდან პენსია, შეიძლება, ზაფხულიდანაც (ვნახოთ, როგორ იქნება შემოსავლები ბიუჯეტში) იქნება საარსებო მინიმუ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილი ძველი პროკურორებისგან უნდა გათავისუფლდეს!“

შორენა კოწოწაშვილი

**უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ბიძინა ივანიშვილის მთავრობას საკადრო პოლიტიკას უწუნებს და მიაჩნია, რომ თუ „ქართულმა ოცნებამ" ის ტენდენცია გააგრძელა, რომელიც საკადრო პოლიტიკის კუთხით დღეს გააჩნია, ხელისუფლების იმიჯს სერიოზული ჩრდილი მიადგება.**

ადვოკატს აინტერესებს, როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენა იმ ჩინოვნიკების – პროკურორების, მოსამართლეების ფონზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ და უსამართლობის დამკვიდრებით ყოფილ ხელისუფლებას თავს აწონებდნენ.

რა ხარვეზები აქვს მთავარ პროკურატურას მუშაობის კუთხით, რა შეცდომებს უშვებს ივანიშვილის მთავრობა და საერთოდ, რა მიმართულებით უნდა გაამახვილოს ყურადღება „ქართულმა ოცნებამ“, რომ ხალხის მოლოდინები გამართლდეს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.

***– ბატონო გელა, პრემიერი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული ცვლილებებით დღეისათვის მიხეილ სააკაშვილი ბეჭებზეა დადებული. უკვე გამოიკვეთა, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა რევანშზე ხელი აიღო?***

– პირველ რიგში, ვიტყვი, რომ სააკაშვილმა რეალური ძალაუფლება ანუ ხალხის მხარდაჭერა დიდი ხანია დაკარგა. რაც შეეხება კანონმდებლობაში და კონსტიტუციაში ჩადებულ ნაღმებს, რომლებსაც პრეზიდენტი ებღაუჭებოდა, ის ამას თანდათან კარგავს. მისი ბოლო შანსი იყო ის, რის საშუალებასაც კონსტიტუცია აძლევდა, რომ დაეთხოვა მთავრობა, არ წარედგინა დასამტკიცებლად, დაენიშნა მხოლოდ დროებით მოვალეობის შემსრულებლად და პარლამენტი თავისთვის ყოფილიყო. ანუ იფუნქციონირებდნენ ისევ მერაბიშვილები, რურუები და ისევ სააკაშვილის გუნდი იქნებოდა მთავრობაში, ოღონდ მოვალეობის შემსრულებლის სახელით, რადგან მათ პარლამენტის დამტკიცება არ სჭირდებოდათ. აი, სწორედ ეს ბერკეტი იქნება გამოცლილი პრეზიდენტისთვის, როდესაც მიღებული იქნება კანონი, რომ პრესიდენტს შეეძლება არა მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა, არამედ მთავრობის დანიშვნა. თუ მთავრობას სამჯერ არ დაუმტკიცებენ, მაშინ პრეზიდენტმა პარლამენტი უნდა დაითხოვოს და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რაზეც სააკაშვილი, რა თქმა უნდა, არ წავა იმიტომ, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში ის ხმებს ვერ მიიღებს და შეიძლება მართლაც გაუჭირდეს 5%-იანი ბარიერის გადალახვა.

***– ანუ სწორი ტაქტიკური სვლა გააკეთა ივანიშვილის გუნდმა ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით?***

– კი, რა თქმა უნდა, სწორი გათვლაა, მით უმეტეს, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვეს. როგორც აცხადებენ, მათ უკვე 100 ხმა აქვთ. მე ვფიქრობ, სააკაშვილი იმ სქემასაც ვერ განახორციელებდა, რის საშუალებასაც კანონმდებლობა აძლევდა ერთი უბრალო მიზეზის გამო: პრეზიდენტს რომ ეს გაეკეთებინა, პრაქტიკულად გამოდიოდა, რომ მთელი მოსახლეობა იქნებოდა ჩართული იმ საპროტესტო მოძრაობაში. ვინაიდან იმ ხელისუფლების მთავრობას ხალხი ვერ იგუებდა, რომლის წინააღმდეგაც მან ხმა მისცა. ეს სააკაშვილის მხრიდან იქნებოდა ფაქტობრივად გადატრიალების მცდელობა. შეიძლება საკანონმდებლო დონეზე ეს ,,გაპრავებული" ყო, მაგრამ პრაქტიკულ საქმეში ეს იქნებოდა ხალხის წინააღმდეგ წასვლა და ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ თეორიული შანსის განხორციელებას ის ვერ გაბედავდა. ვიმეორებ, ამას მართლა მოჰყვებოდა დიდი მღელვარება და ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლა. მაგრამ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ეს თეორიული შანსიც ესპობა პრეზიდენტს. თუ მაგალითად სააკაშვილი გაგიჟდებოდა და ამ ნაბიჯზე, რომ ძალაუფლება ასე ძალადობით დაებრუნებინა, ეს შანსი მოესპო წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებებით.

***– 100-დღიანი პერიოდიდან გამომდინარე, ბევრი თავს იკავებს ხელისუფლების ნაბიჯების კრიტიკისგან, თუმცა გარკვეული კუთხით უკმაყოფილება მაინც ისმის. თქვენ რას გამოკვეთდით ხარვეზებიდან?***

– პირველ რიგში, ხარვეზს დავარქმევდი იმას, რომ ის ძველი კადრები, რომლებიც ძველებურად ცხოვრებას და მუშაობას არიან მიჩვეულები, მათი დიდი ნაწილი კვლავ რჩებიან ძალოვან უწყებებში. ეს იქნება შსს თუ პროკურატურა. ამას ვაბრალებ იმ ფაქტს, რომ იგივე ამნისტიაზე მსჯელობის დროს სს მინისტრმა ღარიბაშვილმა ფაქტობრივად იგივე პოზიცია დააფიქსირა, რაც პრეზიდენტმა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მის საქმეში ნაკლებად ჩახედულობის ბრალი მგონია. ამის მიზეზია ის, რომ სწორედ ის ადამიანები უდგანან გვერდით ღარიბაშვილს, რომლებმაც განახორციელეს უკანონო დაპატიმრებები და დამნაშავეებად გამოაცხადეს უდანაშაულო ადამიანები. მე მხედველობაში მაქვს, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ნარკოტიკების გამსაღებლების და ჯაშუშების გამოშვების. ამნისტიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ნარკოტიკების გამსაღებლების გამოშვებას არ აპირებენ. მათ მხოლოდ ერთი მეოთხედით უმცირდებათ სასჯელი. რაც შეეხებათ ჯაშუშებს, სწორედ ეს მენიშნა, რომ იგივე ხალხი, ვინც კონტრდაზვერვის დეპარტამენტში იყო და დღესაც რჩება, სწორედ ეს ხალხი უმტკიცებს მას, რომ ეს ხალხი არიან ჯაშუშები. მინდა გითხრათ, რომ ჯაშუშების გათავისუფლების წინააღმდეგი მეც ვარ. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს ადამიანები ჯაშუშები არ არიან. როგორც სიმონ კილაძე იყო ჯაშუში და ფოტორეპორტიორები იყვნენ ჯაშუშები, ისე არიან ენვერის საქმეზე დაპატიმრებული პირები ჯაშუშები. სრულიად უდანაშაულო ადამიანებს აქვთ შეფარდებული ჯაშუშობის ბრალდება. შინაგან საქმეთა მინისტრზე დიდი გავლენა იგრძნობა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც ეს პიროვნებები ჯაშუშებად მონათლა, მაგრამ დღეს უკან ხომ არ დაიხევენ? იქნება ეს კონტრდაზვერვა, პროკურატურა თუ სხვა, რადგან იგივე ხალხი რჩება თანამდებობებზე, რომ ამტკიცონ: დიახ, ეს ხალხი იყვნენ ჯაშუშებიო. ასეთი მაგალითები ბევრია.




***– თქვენ საკადრო პოლიტიკის პრობლემა გამოკვეთეთ. ადვოკატები ჩივიან, რომ სასამართლო პროცესზე გამოსული პროკურორები ფაქტობრივად იგივე პოლიტიკას ატარებენ, რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. ეს ხომ ასუსტებს ახალ ხელისუფლებას, რატომ ვერ შეელია ხელისუფლება ძველ კადრებს?***

– რა თქმა უნდა, ასუსტებს. სხვათა შორის, წეღან ვსაუბრობდით ძველი ადვოკატები, ვისაც კარგად ახსოვს გამსახურდიას პერიოდი. გამსახურდია დაღუპა სწორედ იმან, რომ გამოაცხადა – კომუნისტების პერიოდში მომუშავე პროკურორები თუ მილიციელები ახლა არიან ეროვნული ხელისუფლების პროკურორები და მილიციელებიო, ანუ გაკეთილშობილდნენო. ზუსტად ამას აცხადებს „ქართული ოცნებაც“. ის ადამიანები, ვინც ემსახურებოდნენ ძველ რეჟიმს სასტიკი მეთოდებით და ხშირად შემოქმედნი იყვნენ ამ რეჟიმის, დღეს თურმე გაკეთილშობილდნენ. მე ამის არ მჯერა. მე არ ვამბობ, რომ გამონაკლისები არ შეიძლება იყოს, მაგრამ მასობრივად არ შეიძლებოდა ამ ადამიანების დატოვება თავიანთ თანამდებობებზე, ეს სწორედ არ მიმაჩნია. ვფიქრობ, ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დაუდგება ადრე თუ გვიან ამ ხელისუფლებას, ვინაიდან მათი უმრავლესობა ვინც დარჩა, არიან სწორედ სააკაშვილის რეჟიმის შემოქმედები. იმიტომ, რომ ადეიშვილის პროკურატურის და ვანო მერაბიშვილის პოლიციის პირობებში, რაც არ უნდა შინაგანად პატიოსანი ყოფილიყო ადამიანი, გაუჭირდებოდა შინაგანი წესიერების შენარჩუნება, რომ იმ სიბინძურეში არ ჩათრეულიყო, რასაც მათ ავალებდნენ. ვიმეორებ, შეიძლება გამონაკლისები იყვნენ, მაგრამ უცებ რომ ყველა ანგელოზი გახდა, მე ამის არ მჯერა. ეს ამ ხელისუფლებას, ადრე თუ გვიან, წინ დახვდება.

***– სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკისას არაერთი პროკურორის და მოსამართლის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებზე საუბრობდნენ ადვოკატები, პოლიტიკოსები. დღემდე არც ერთი მსგავსი პიროვნების მიმართ არ გამოკვეთილა ხელისუფლების პოზიცია, ანუ არ დასჯილან უსამართლობის ჩამდენი მოსამართლენი და პროკურორები. ეს უკვე სერიოზული პრობლემაა?***

– არის, რა თქმა უნდა. მე, პირადად, ამას ძალიან უხეშ შეცდომად ვთვლი. თუ ჩვენ ვაცხადებთ, რომ წინა ხელისუფლებისთვის ადამიანი იყო არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება და ეს მართლაც ასე იყო, დღეს ამ ხელისუფლებისთვის თუ ადამიანი არის მიზანი და მთავარია მისი კეთილდღეობა და სამართლიანობა და თუ პოლიტიკის სამიზნედ ცენტრში სწორედ ადამიანი და მისი კეთილდღეობა იდგეს, იმ რეჟიმს მორგებული ადამიანებისთვის, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ გვამები შემოედოთ მაღაზიის თავზე და არაერთი დანაშაული დაებრალებინათ უდანაშაულო ადამიანებისთვის, ასეთი ადამიანები თავიანთი მოქმედების ქვაკუთხედად ადამიანის უფლებების დაცვას ვერ გაიხდიან. ამიტომ მე მოქმედი ჩინოვნიკების 80-90%-ს კი არ დავტოვებდი, არამედ 20%-ს, ისიც ქვედა რგოლში და მკაცრი გადარჩევის შემდეგ. უამრავი შემთხვევაა, როდესაც ადამიანის ბედით და ადამიანის სიცოცხლით მანიპულირებდნენ იმისათვის, რომ რეჟიმისთვის თავი მოეწონებინათ და დაკვეთები შეესრულებინათ.

***– დაბოლოს, არაერთ გახმაურებულ საქმეზე ელოდება საზოგადოება ახალი ხელისუფლების ვერდიქტს. იგივე ვაზაგაშვილის და სხვა საქმეებიც ფაქტობრივად გამოძიებულია, თქვენი აზრით, რატომ აგვიანებს პროკურატურა საბოლოო დასკვნის გამოცხადებას?***

– ზუსტად ეს პრეტენზია მაქვს მეც. თუმცა მესმის, რომ ამას რამდენიმე ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ერთი ის, რომ ესენი ძველი მეთოდებით, წამების გზით ჩვენების გამოძალვაზე აღარ მუშაობენ. მაქსიმალურად უნდათ მტკიცებულებები კანონის სრული დაცვით მოიპოვონ. მაგრამ როდესაც ხედავ ადამიანი, რომ აშკარად იგივე თუნდაც ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას წინააღმდეგ, ბევრი სხვა ოდიოზური ფიგურის წინააღმდეგ ისეთი საშინელი ჩვენებები, რაც პირადად მე ვიცი ჩემი პატიმრებისგან და კოლეგებისგან, ადამიანები განცხადებებს წერენ და ეუბნებიან პროკურატურას დაგვკითხეთო. ზოგს კითხავენ კიდეც ზერელედ, დაგვიანებით. რატომ არ იდება ეს ჩვენებები და მტკიცებულებები მათ საქმეებში? ვიმეორებ, ეს არის საშინელი ჩვენებები და ის ბრალდებები, რისთვისაც სააკაშვილის ოდიოზური ფიგურები დააპატიმრეს, იავნანასავით გამოიყურება ამ ჩვენებებთან შედარებით. რეალური ფაქტები არსებობს და რატომ ამას არ უყენებენ ბრალდებად და რატომ არ ჩქარობენ, რომ ეს მძიმე მხარეები გამოკვეთონ მათი ბრალდების საქმეში, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. არ ვიცი ამის მიზეზი ძველი პროკურორები არიან, რომლებსაც უნდათ თავი გადაირჩინონ, რომ არ მოყვნენ ამ სამართლიანობის აღდგენის წნეხში. ვიცი, რომ პროკურატურაში 24-საათიანი მუშაობა არის, მაგრამ თუ კადრები არ ყოფნით უნდა დაამატონ. ხალხმა ამ ხელისუფლებას სწორედ სამართლიანობის აღდგენისთვის მისცა ხმა, მაგრამ ხალხმა ეს თუ არ დაინახა, მხოლოდ პენსიის მომატება საკმარისი არ არის. თუ ამ მთავარ მიმართულებაში ხელისუფლებამ წაიფორთხილა, ხალხის მხარდაჭერას და ნდობას დაკარგავს.

***– ანუ მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს, რომ ივანიშვილის იმიჯი არ შელახოს?***

– დიახ, კბილაშვილმა და მთლიანად ამ სისტემამ. ნაკლები ნდობა უნდა გამოუცხადონ ძველ კადრებს, გაცილებით თამამად დააწინაურონ ახალი კადრები, რომლებიც უდავოდ არსებობენ. დიახ, მაქსიმალურად უნდა მოხდეს კადრების გადახალისება და მუშაობაც უფრო აქტიური უნდა იყოს.

# გუგული მაღრაძე: „ნაციონალებისგან რევანშს არ ველით“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მის შესაბამისი. მე ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობა ყველაფერს კარგად ხედავს და ეს არ შეიძლება, არ დაინახო, რადგან ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი იყოს. ხელისუფლება ძალიან რეალისტურია და დაპირებებიც შესაბამისი აქვს, იმიტომ რომ თვითონ ბატონი ბიძინა არის ძალიან რეალისტური ადამიანი და არასდროს ამბობს იმას, რასაც არ გააკეთებს. როდესაც რაღაც არის ხოლმე ისეთი ნათქვამი, ყოველთვის ამბობს, რატომ და რისთვის ითქვა. მიმაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობა ძალიან სწორად რეაგირებს იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება.

***– რაც შეეხება უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობას, ნორმალურ ჩარჩოებშია მოქცეული ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესი და საკონსტიტუციო ცვლილებები?***

– უმცირესობის მოვალეობაა, რაც შეიძლება მეტი კრიტიკა გამოთქვას, მაგრამ ამ უმცირესობას აქვს, ასე ვთქვათ, ის დიდი ნაკლი, რომ ისინი ვერასდროს გახდებიან სანდო ოპოზიცია, იმიტომ რომ ჩვენ გვახსოვს ოპოზიციები, რომელიც ხალხისგან იკვებებოდნენ. ის ოპოზიციები იყო სანდო ხალხისთვის. არა მგონია, ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდეს საზოგადოებაში ნდობის ის 10-12%, რომელიც გამოკვლევებით ფიქსირდება. ამიტომ ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ კონსტიტუციით პრეზიდენტს იმაზე მეტ უფლებებს აძლევს, ვიდრე მას აქვს. კერძოდ, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს დაითხოვოს პარლამენტი და მთავრობა. თუმცა კონსტიტუციაში ჩნდება მნიშვნელოვანი ჩანაწერი – ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ეს. ხალხმა გადაწყვიტა და აირჩია ეს პარლამენტი და პარლამენტმა ნდობა მისცა ამ მთავრობას. თუკი პარლამენტის დათხოვნა იქნება, ახლანდელმა მთავრობამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მაგრამ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა აირჩევს ახალ მთავრობას. როგორც ბატონმა ბიძინამ თქვა, ხალხს უნდა ვკითხოთ, როგორი არჩევანი უნდა. ეს უკვე ძალიან სწორ კალაპოტში აგდებს საკონსტიტუციო პროცესს. იცით, რომ კონსტიტუცია ძალიან დამახინჯებული იყო. წარმოიდგინეთ, პარლამენტს ირჩევს ხალხი და ამ პარლამენტს, კონსტიტუციის მიხედვით, არანაირი უფლება არ აქვს არც მთავრობაზე და არც არაფერზე. დღემდე არსებული კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც სააკაშვილმა თავის თავზე მოირგო, პარლამენტი არის არაფერი, ნული. ალბათ, იმიტომაც გადააგდო პრეზიდენტმა პარლამენტი ქუთაისში. წარმოიდგინეთ, პარლამენტს ირჩევს ხალხი, მაგრამ პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას – ვისაც უნდა იმას და როცა უნდა, მაშინ გამოცვლის. პარლამენტი დაეთანხმება თუ არა პრეზიდენტს, მას შეუძლია, ის მთავრობა ჰყავდეს, რომელიც მას უნდა. ეს კონსტიტუცია არ იყო სამართლიანი. აბა, რატომ ირჩევს ხალხი პარლამენტს?! მთავრობას ნდობა ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა უნდა მისცეს. ჩვენ სწორედ ეს ხარვეზი გამოვასწორეთ. ფაქტობრივად, ამით ვაჩვენეთ, რომ ჩვენ გვინდა, ქვეყანაში ნორმალური და ჯანსაღი პროცესები იყოს. ამ ნაბიჯით საზოგადოებაში მოვსპეთ იმ შიშის საფუძველი, რომ ამბობდნენ, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და ა.შ. მას ამის უფლება უკვე აღარ აქვს.

***– რა შანსები დარჩათ ნაციონალებს?***

– ერთადერთი შანსი არის ის, რომ თუ უფრო კონსტრუქციულნი და თავმდაბლები იქნებიან, შეინარჩუნონ საკუთარი თავი, როგორც ოპოზიცია, პარლამენტში.

***– ანუ, ქალბატონო გუგული, სააკაშვილის გუნდის მხრიდან რევანშის საფრთხე უკვე გამორიცხა?***

– გამორიცხა, იმიტომ რომ მათ უკვე აღარანაირი იარაღი აღარ აქვთ ამ რევანშისტული მიზნების განსახორციელებლად. ისინი 10 000-იან ამბოხს ვერ მოაწყობენ. მათ ამის ძალაც აღარ აქვთ. ერთადერთი, დარჩათ ის, რომ გამოვიდნენ და ხელისუფლება აკრიტიკონ. ამ წუთში რეალური ძალა მათ უკვე აღარ აქვთ.

# გოგი ხუციშვილი: „ივანიშვილს პრობლემებს თავისივე განცხადებები უქმნის“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილთან:

***— ბატონო გოგი, თანაცხოვრების ახალ ეტაპს ხომ არ ნიშნავს პრეზიდენტ სააკაშვილის ხუთპუნქტიანი გეგმა და პრემიერ ივანიშვილის განცხადება, რომ სისტემის დამარცხება მოხდა და პიროვნებებს არ გამოეკიდებიან?***

— არა, ეს არ არის თანამშრომლობის ახალი ეტაპი. ეს განცხადება ძალიან ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. ეს არის გარკვეული შეთანხმება შემდეგ პერიოდში მოქმედების წესებზე. მე ვიტყოდი, იძულებითი ნაბიჯია ორივე მხრიდან. სააკაშვილმა ხუთპუნქტიანი გეგმის შესახებ განცხადება შეუფერებელი ფორმატით გააკეთა. ვგულისხმობ საახალწლო მილოცვის ფორმატს. პრეზიდენტმა საახალწლო მილოცვა პოლიტიკურ განცხადებად და პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობის გარკვევის ფორმატად გადააქცია.



***— მართლაც უცნაური იყო, როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩია?***

— იმისთვის, რომ მეტი ჟღერადობა და მეტი ეფექტი ჰქონოდა მის სიტყვებს. სხვა დროს რომ ეთქვა აღნიშნული განცხადება, ნაკლები ჟღერადობა ექნებოდა. მისთვის, როგორც ჩანს, მთავარი ეს არის, მაგრამ ამით თავისი პოპულარობა კიდევ უფრო დასცა ხალხში.

***— რატომ?***

— რადგან პირველი პირისგან საახალწლო მილოცვა უნდა იყოს მილოცვა და არა პოლიტიკური განცხადება, თანაც შეთანხმება იმაზე, ვინ როგორ უნდა მოიქცეს მომდევნო პერიოდში. ეს ნამდვილად არ იმოქმედებს დადებითად ხალხზე, პირიქით, ასეთი რაღაც კიდევ უფრო აღიზიანებს ადამიანებს.

***— ხუთპუნქტიან გეგმაზე რას იტყვით, რამდენად მნიშვნელოვანია?***

— ეს ხუთპუნქტიანი გეგმა არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც არ იყო მანამდე ნათქვამი და ძალიან ბევრჯერ მსჯელობის საგანი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. ხუთპუნქტიანი გეგმა, პრაქტიკულად, არის კოჰაბიტაციის ის ნორმები, რომელზეც იყო იყო თავიდანვე საუბარი, მაგრამ მის განხორციელებას ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უშლიდა ხელს. ობიექტური ფაქტორი იყო არა ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში უკეთესი პირობები შესთავაზა ხალხს ან უკეთესი სოციალური ან ეკონომიკური დაპირება მისცა, არამედ ის, რომ ხალხის აღშფოთება იყო შერჩევითი სამართლის მიმართ, განუკითხაობის მიმართ, საყოველთაო დაშინების წინააღმდეგ, სასტიკი სისტემის წინააღმდეგ. ამ პირობებში „ქართულ ოცნება“ ვერ გადადგამდა რეალურად კოჰაბიტაციისკენ ნაბიჯს ისე, როგორც ეს ევროპაში ხდება. სამართლიანობის აღდგენისა და სამართლის შეგრძნების პრობლემა იყო და სწორედ ამ ფონზე გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, სწორედ სამართლიანობის აღდგენას მისცა ხმა ხალხმა და არა უკეთეს ეკონომიკურ მომავალს. სამართლიანობის შეგრძნების დაბრუნება ვერ მოხდებოდა სხვანაირად, თუ არა სამართლებრივი პროცესების წამოწყება. რომ არ დაწყებულიყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ხალხი ვერ გაიგებდა. ამიტომ ეს იყო ობიექტური მიზეზი.

***— სუბიექტური მიზეზი?***

— სუბიექტური ფაქტორი მდგომარეობდა იმაში, რომ პოლიტიკური ინსტინქტი ბიძინა ივანიშვილს უბიძგებდა იმისკენ, რომ სააკაშვილის კოჰაბიტაციის მოდელს არ ნდობოდა. მიუხედავად ამ შეთავაზებისა, ივანიშვილს სააკაშვილი უგულებელეყო და მისი, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგის ნეიტრალიზება მოეხდინა. ეს პოლიტიკური ინსტინქტი ბიძინა ივანიშვილში არსებობს. როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში ამას სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ივანიშვილი გრძნობს, თუ არ გააუვნებელყოფს „ნაციონალურ მოძრაობას“, მაშინ რევანში მოხდება. პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ 2013 წელს „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ არსებობას შეწყვეტს. ამ განცხადებით, პრაქტიკულად, სააკაშვილმა დაადასტურა, რომ რევანშის გეგმები მათ თავიდანვე ჰქონდათ. სწორედ ამით იყო გამოწვეული აპრილით მანიპულირება, როდესაც ექვსთვიანი ვადის შემდეგ პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა ეძლევა პრეზიდენტს. ამ პირობებში ბიძინა ივანიშვილის ქმედება და მისი პოლიტიკური ინსტინქტი გამართლებული აღმოჩნდა, მაგრამ სხვა ობიექტური ფაქტორიც დაემატა.

***— კონკრეტულად?***

— დასავლეთში სჭირდებათ იმ იმიჯისა და აწყობილი სისტემის შენარჩუნება, რომელიც საქართველოს აქვს დასავლეთთან მიმართებით. არასწორია ისეთი შეფასებები, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა მიხეილ სააკაშვილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. დასავლეთს არ აინტერესებს სააკაშვილი, მათ აინტერესებთ, რომ არაფერი შეიცვალოს იმ ურთიერთობების აწყობილ სისტემაში, რომელიც დასავლეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის არსებობს. მართალია, ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი ამტკიცებდა, რომ დასავლეთთან მიმართებით არაფერი შეიცვლება და ასე გაგრძელდება, მაგრამ, ამავე დროს, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ყველა ბერკეტით, ასევე საზღვარგარეთ ელჩების, დიპლომატიური წარმომადგენლობების სახით, რომელიც კვლავ ძალაშია, საწინააღმდეგოში არწმუნებდა დასავლურ სამყაროს. ელჩები ცდილობდნენ, დასავლელი ლიდერები დაერწმუნებინათ, რომ რეალურად „ქართული ოცნება“ სხვა კურსის გატარებას აპირებს.

***— გამოდის, ივანიშვილს ერთგვარი ლავირება უწევს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ?***

— დიახ, სწორედ ხუთპუნქტიან გეგმაზე მისი რეაქცია ამითაც არის განპირობებული. ეს არის პოლიტიკური რეალობა და ამას უნდა გავუსწოროთ თვალი. ყოველთვის მოხდება მსგავსი ლავირება, ვინაიდან დასავლეთი არ თვლის საჭიროდ იმის გაკეთებას, რასაც ქვეყნის შიგნით მოქალაქეები თვლიან. დასავლეთი ფიქრობს, რომ ეს უფრო ფრთხილად უნდა გაკეთდეს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „სახელმწიფო გადატრიალება არავის არ უნდა შერჩეს!“

გულიკო ბალაძე

— საქართველოში, სამწუხაროდ, ტენდენციად იქცა დანაშაულის ჩადენა და შემდეგ მისი დაუსჯელობა — რეალურად. ვიღაცები მოახდენენ სახელმწიფო გადატრიალებას, დახოცავენ ადამიანებს და ყველაფერი ხახვივით შერჩებათ. ასე ხდება ახლაც. ძალიან მიკვირს, რა მემორანდუმი უნდა გაფორმდეს და რა უნდა ვაპატიოთ სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს? რატომ უნდა აპატიოს ქართველმა ხალხმა თუნდაც დაბალი რანგის მოხელეებს ის, რაც მათ განახორციელეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ? — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების საპასუხოდ.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ გამოდის ინიციატივით, 2013 წლიდან ყოველ წელს 9 აპრილი აღინიშნებოდეს, როგორც დამოუკიდებლობის დღე, რადგან ეს არის გამარჯვებისა და ერთიანობის დღესასწაული. იგი მოუწოდებს ზვიად ძიძიგურსა და მის თანამოაზრეებს, ეს საკითხი დასვან პარლამენტის წინაშე და იზრუნონ მის გადაწყვეტაზე.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, 9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადება ისტორიის გაყალბებაა, რასაც აკეთებდნენ სააკაშვილი და შევარდნაძე.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტის რეალური გამოძიებითა და ამ გადატრიალების ორგანიზატორთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმით.

***— ბატონო ნიკა, 22 დეკემბერს თქვენ დამირეკეთ და მითხარით, რომ თქვენზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ინტერნეტში ნანახმა იმ კადრებმა, რომელიც შეეხებოდა 1991-92 წლების გადატრიალებას. რატომ მოახდინა თქვენზე დიდი გავლენა იმ კადრებმა?***

— ეს კადრები მახსენებს იმ წარსულს, როცა კრიმინალურმა ხუნტამ დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში იყო სულ რაღაც 7 თვე და აბსურდია რაღაც მიზეზებზე საუბარი. შეიძლება, რაღაც საკადრო ცვლილებები განხორციელდა და შეიძლება რაღაც შეცდომები იქნა დაშვებული. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ხალხის მიერაა არჩეული, მაგრამ, რეალურად, 2-3 თვეში გარკვეული შეცდომები უკვე დაუშვა, ენერგოტარიფების განახევრებასთან დაკავშირებით დაპირებები რომ იყო და ვერ ასრულებენ.

***— ენერგოტარიფებს რომ ვერ ანახევრებენ, შეცდომაა?***

— დიახ, ეს უკვე შეცდომაა. როდესაც ჰპირდები მოსახლეობას, უნდა შეუსრულო. ეს ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო მოსახლეობისთვის. ასევე, რეალურად, დაუსჯელობა ჯერ კიდევ არის. ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო დამნაშავეები არიან, პასუხისგებაში ეძლევიან, მაგრამ ისეთი ბრალდებების წაყენება ხდება მოხელეებზე, უბრალოდ, სასაცილოა. შეიძლება, შემდეგ გამოძიებამ გამოკვეთოს სხვა დანაშაულები, მაგრამ მათ სალაპარაკო არ უნდა მივცეთ. ამიტომ ეს ყველაფერი უნდა გაითვალოს. გარკვეული შეცდომები ხელისუფლებას ყოველთვის ექნება, მაგრამ სიმძიმეს გააჩნია. ჩვენ თვალწინ ჩამოაგდეს ხელისუფლება, რომელსაც სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაული არ ჩაუდენია. არ ჩაუდენიათ რაიმე სხვა მძიმე დანაშაული. ეს იყო საკმაოდ ალოგიკური ქმედება. იშვიათია მსოფლიოში ქვეყანა, სადაც 7 თვეში ხალხის მიერ (87%-ის) არჩეულ პრეზიდენტს აგდებდნენ შეიარაღებული ფორმირებები იმ მოტივით, თითქოს ის არის დიქტატორი.

***— რაც მთავარია, ამ პრეზიდენტმა ჩაატარა რეფერენდუმი და მის საფუძველზე ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.***

— დიახ, ამ დამოუკიდებლობას ეფუძნება ჩვენი სახელმწიფო. სხვათა შორის, სასაცილოა ის, რომ რეალურად ჩვენ დამოუკიდებლობას 26 მაისს აღვნიშნავთ. არადა, დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა 9 აპრილს. დღევანდელი კონსტიტუცია ეფუძნება 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს. მართალია, 1918 წლის 26 მაისსაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობა 9 აპრილს გამოცხადდა. 2013 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა იზეიმოს არა 26 მაისს, არამედ 9 აპრილს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლში დაფიქსირებულია, რომ საქართველო არის ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი კოზირი, ვინაიდან 1991 წლის 31 მარტს მთლიანად, მთელმა საქართველომ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ჩვენ, ფაქტობრივად, ვაკნინებთ ამ ფაქტს იმიტომ, რომ ამას არ ვამბობთ და მის პროპაგანდას არ ვეწევით. იმის მაგივრად, რომ აქცენტები გავაკეთოთ ამაზე, დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისს ვაცხადებთ. იმის მაგივრად, რომ ჩვენ აქცენტი ამაზე გავაკეთოთ, აქცენტი 9 აპრილს რუსის ჯარს რომ 21 ადამიანი შეეწირა, ეს დღე ჩვენ გადაქცეული გვაქვს გლოვის დღედ. 9 აპრილი არ არის გლოვის დღე, გამარჯვების დღეა. შემთხვევით არაფერი ხდება. 9 აპრილს იმიტომ მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენა, რომ, სწორად აღნიშნა ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში, ზეციურ ნათელში ხარობენ წამებული სულები, ვინაიდან ისინი შეეწირნენ დამოუკიდებლობას. ამიტომაც მოხდა ზუსტად 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. დღევანდელ პარლამენტშიც არიან უზენაესი საბჭოს წევრები, მაგალითად, ზვიად ძიძიგური. სანამ ახალი პარლამენტის წევრები გახდებოდნენ, ისინი აცხადებდნენ, რომ სწორედ 9 აპრილს უნდა აღვნიშნოთ დამოუკიდებლობის დღე. დღეს ისინი არიან პარლამენტში და უზრუნველყონ ის, რომ, რეალურად, საქართველომ დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილს აღნიშნოს. 9 აპრილი არის უდიდესი გამარჯვების დღესასწაული. დიახაც, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ის დიდებული ახალგაზრდები, რომლებიც შეეწირნენ 9 აპრილს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ 9 აპრილი გლოვის დღედ გამოვაცხადოთ, არამედ — გამარჯვებად, რადგან მათ სისხლს უკვალოდ არ ჩაუვლია. ნეტა, ყველა დაღვრილი სისხლი ისე შედეგიანი იყოს, როგორც 9 აპრილი. იმ სისხლმა მოგვიტანა დამოუკიდებლობა, რომელიც 9 აპრილს დაიღვარა. 9 აპრილის შემდეგ ბევრი სისხლი დაიღვარა საქართველოში, მაგრამ — უაზროდ. გაიხსენეთ აფხაზეთისა და ცხინვალის ამბები. სააკაშვილმა იქ ჩახოცა ქართველები. შევარდნაძემაც არ დააკლო. ეს, რეალურად, უკვალოდ დაღვრილი სისხლია.



აქედან გამომდინარე, ჩვენ დღეს გამოვდივართ ინიციატივით და მივმართავთ იმ ძალებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან, რომ 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ უნდა აღინიშნებოდეს. სააკაშვილისა და შევარდნაძის პერიოდში დამოუკიდებლობის აღდგენა 26 მაისს იმიტომ აღინიშნება, რომ ზვიად გამსახურდიას როლი დაეკნინებინათ. არ შეიძლება, ერთი ადამიანის სიძულვილის გამო ზიანი მივაყენოთ ქვეყანას. ზვიად გამსახურდია თუ გეზიზღება, არ შეიძლება, ამის გამო დამოუკიდებლობას ხაზი გადაუსვა. ჩვენ დღეს ძალიან დიდი სალაპარაკო გვაქვს აფხაზებთან და ოსებთან. ჩვენ მათ ვეუბნებით: თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც 1991 წლის 31 მარტს ხმა მიეცით საქაართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაერთიანებს დამოუკიდებლობის აღდგენა. რაც შემდეგ მოხდა, რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. აქედან გამომდინარე, 9 აპრილი ერთიანად უნდა აღვნიშნოთ, როგორც თბილისში, ასევე ცხინვალსა და სოხუმში. 2019 წლის 9 აპრილის აღნიშვნით უნდა დაიწყოს საქართველოს გაერთიანება. 26 მაისს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ეს იყო ლანგრით მირთმეული დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ჭოჭმანობდა მაშინ ნოე ჟორდანია.

***— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაშინ აღდგენილი დამოუკიდებლობა დავკარგეთ.***

— თანაც, არასერიოზულია, ქვეყანა დამოუკიდებლობას აღნიშნავდეს იმ დღეს (26 მაისს), როცა იმის შემდგომ ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა. კონსტიტუციაში წერია, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა დაფუძნებულია 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე და ქვეყანა ამ დღეს არ აღნიშნავდეს დამოუკიდებლობას. ეს არის ისტორიის გაყალბება. ამას აკეთებდნენ სააკაშვილი და შევარდნაძე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ აფხაზებმა და ოსებმა ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამას აკეთებდნენ ერთი ადამიანის სიძულვილით. ამიტომ გამოვდივართ ინიციატივით, რომ ყოველ წელიწადს 9 აპრილი იყოს გამარჯვებისა და ერთიანობის დღესასწაული, რადგან ჩვენ 9 აპრილს გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, რომელსაც ხმა მისცეს ოსებმა და აფხაზებმა.

***— მაშინ თქვენ რამდენი წლის იყავით?***

— მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი და ძალიან მტკივნეულად განვიცდიდი იმ პროცესებს, რაც მოხდა ქვეყანაში. ეს იყო საშინელი პერიოდი საქართველოს ისტორიაში. ვფიქრობ, უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც ის გადატრიალება მოახდინეს. თენგიზ სიგუამ საკადრისად უნდა აგოს პასუხი. თქვენ კარგად გახსოვთ, ალბათ, მისი სამარცხვინო სატელეფონო საუბრები, მაგალითად, როცა ის ტელეფონით ესაუბრებოდა ქუთათელაძეს, რომელიც არის გადაღებული, რას კადრულობდა, რა ტერმინებით საუბრობდა. თენგიზ სიგუა, რომელიც ამბობდა, პრეზიდენტმა მერსედესით არ უნდა იაროსო, ბავშვების ფულს ჭამდაო და პრეზიდენტის მისამართით აბსურდულ რაღაცებზე ლაპარაკობდა, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ამიტომ დღეს უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

***— სიგუა მარტო არ იყო.***

— რა თქმა უნდა, შევარდნაძემ, კიტოვანმა, სიგუამ და ყველა იმ პირმა, ვინც გარეულია იმ მოვლენებში, პასუხი უნდა აგოს. სწორედ იმიტომ მოხდა უარესი ფაქტები, სააკაშვილმაც იგივე იმიტომ გააკეთა და იმიტომ გამეფდა დაუსჯელობის სინდრომი ქვეყანაში, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, ტენდენციად იქცა დანაშაულის ჩადენა — რეალურად. ვიღაცები მოახდენენ სახელმწიფო გადატრიალებას, დახოცავენ ადამიანებს და მათ ყველაფერი ხახვივით შერჩებათ. ასე ხდება ახლაც. მე ძალიან მიკვირს, რა მემორანდუმი უნდა გაფორმდეს და რა უნდა ვაპატიოთ ამ ხალხს, რატომ უნდა აპატიოს ქართველმა ხალხმა თუნდაც დაბალი რანგის მოხელეებს ის, რაც მათ განახორციელეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. პინოჩეტი ღრმა სიბერეში მისცეს პასუხისგებაში და სასამართლოში არბენინებდნენ მოხუცებულ კაცს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ეკონომიკურად ააყვავა. ვინაიდან მან განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება, დაამხო კანონიერი ხელისუფლება, მართლმსაჯულებას ვერ გაექცა. ვფიქრობ, საქართველოშიც ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ყველა დანაშაულს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. თუკი დღეს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება სათანადოდ არ დასჯის სააკაშვილის რეჟიმს, დაუსჯელობის სინდრომი კვლავ გაგრძელდება. ამბობენ, მხოლოდ რეჟიმის გასამართლება უნდა მოხდესო. თუ რეჟიმის გასამართლება უნდა მოხდეს, უნდა გასამართლდნენ ამ რეჟიმის წარმომადგენლებიც.

***— რეჟიმი ხომ თავისთავად არ იქმნება, რეჟიმს პიროვნებები ქმნიან.***

— დიახ. რას ჰქვია მხოლოდ რეჟიმის გასამართლება. სააკაშვილის რეჟიმმა იმიტომ განახორციელა სადისტური და უკანონო ქმედებები, რომ მას ჰქონდა წინა მთავრობის გამოცდილება, შევარდნაძესა და მის რეჟიმს ხახვივით შერჩა ჩადენილი დანაშაულები. ისეთი ტენდენციაა, რომ, რეალურად, ბაჩო ახალაიასა და რამდენიმე პირზე უნდა გადატყდეს ჯოხი, როცა მთელი სისტემა მონაწილეობდა მასობრივ დანაშაულებში. ჩვენ გამოვედით ინიციატივით, საქართველოში ნიურნბერგის მსგავსი პროცესი ჩატარდეს.

# საჩხერეში ფონდი „მოდინახე“ ფუძნდება

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხელისუფლების ახირების მიხედვით ხდებოდა მიგრაციულ-არქიტექტურული სვლები. მაღლივი შენობების გადაღებვით თუ არმატურის ქანდაკებების დადგმით დაკავებული ხელისუფლება ქმნიდა იმის ილუზიას, რომ ქვეყანაში მიმდინარეობდა პროგრესი უწყვეტად და წარმატებულად. მართალია, ვერც გადაღებილმა შენობებმა და ვერც მინის შენობებმა ვერ გაუძლო კრიტიკას, მაგრამ საბოლოო ჯამში არქიტექტურული ანსამბლიდან ამოვარდნილმა შენობებმა ყოველდღიურობაში ჩაძირული ადამიანის მხრიდან ყურადღება დაკარგეს, რადგან მოსახლეობის უმეტესობას ყოფითი პრობლემები აწუხებს და არა არქიტექტურის ესთეტიკური მხარე.

,,ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძირითადი აქცენტი თბილისზე, ქუთაისსა და ბათუმზე იყო გადართული. თბილისი, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი, რასაკვირველია, იმსახურებს ყველაზე მეტ ყურადღებას, მაგრამ ბათუმსა და ქუთაისს (ვიდრე საპარლამენტო ქალაქი გახდებოდა) არანაირი პრივილეგია არ უნდა მინიჭებოდა. შავიზღვისპირა ქალაქები არაერთია და არც ქუთაისია ერთადერთი პროვინციული ქალაქი.

სამწუხარო ფაქტია, რომ პატარა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. საჩხერე ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელიც კომუნისტური პერიოდიდანვე ურბანული დაგეგმარების მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. პატარა იმერულ ქალაქს, რომლის მოსახლეობა ამჟამად დაახლოებით 7 ათასია, საკონსერვო, საშამპანურე და სამშენებლო მასალების წარმოების დანიშნულება ჰქონდა და საქალაქო ინფრასტრუქტურაზე მეტად საწარმოო მოედანს უფრო მოაგონებს ადამიანს, ვიდრე ქალაქს. ხელისუფლებას ასეთი პატარა ქალაქები მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა არჩევნები კარზე მოადგებოდათ. საჩხერის დაახლოებით 40 ათასიანი საარჩევნო ოლქი ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი ელექტორატული ყულაბა იყო და მოსახლეობას უხვად ურიგდებოდა დაპირებები, რომლის უმეტეს ნაწილს ასრულებდა ჭორვილელი კეთილგანწყობილი მილიარდერი.



მე-17 საუკუნემდე საჩხერეს დიდი დანიშნულება არ ჰქონია, რადგან მის მახლობლად არსებობდა უძველესი დასახლების პუნქტები, რომლებიც დროთა განმავლობაში კარგავდა ფუნქციას. საჩხერე წერეთლების საფეოდალოს ცენტრი იყო და თავის დროზე იმერეთის სამეფოსა და რაჭის საერისთაოს მეტოქეობასაც უწევდა.

მართალია, ლეგენდები დადის ივანიშვილის მიერ საჩხერზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით, მაგრამ ქალაქს მხოლოდ ყოფითი საკითხები მოუგვარდა ამით: საავადმყოფო, გზა, შენობების გადახურვა, ელექტროობა და გაზიფიკაცია. თავისთავად ცხადია, რომ ეს ძალიან ბევრია, მაგრამ ყოფითი პრობლემების მოგვარების შემდეგ საჩხერეში ესთეტიკური მხარის მოგვარებაზეც დაიწყეს ფიქრი.

ერთადერთი ქალაქი იმერეთში, სადაც პარკი არაა, ალბათ საჩხერეა. გამწვანების ყველაზე ხელსაყრელი და საჭირო ადგილი საჩხერეში მოდინახის ფერდობია.

ციხე, რომელსაც წერეთლებისა და აბაშიძეების დამოყვრებას უკავშირდება თქმულების მიხედვით, ამჟამად მთლიანად გაპარტახებულია. კომუნისტურ ეპოქაში რესტავრირებული ციხე დაინგრა 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრის დროს. მოდინახე საჩხერლების სიამაყის საგანსაც წარმოადგენს, რადგან მისი აღება მხოლოდ ერთხელ შეძლეს( იმერეთის აჯანყების დროს, 1810წელს, მოდინახე აჯანყებულებს ეკავათ. იმავე წლის მარტში რუსული არმიის ნაწილებმა აიღეს ციხე და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენეს. შემდგომში მოდინახემ დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა).ციხეს დანგრევამდე შვიდი კოშკი ამშვენებდა, მათგან დღეს აღარაფერია შემორჩენილი. ამბობენ ასევე, რომ ციხის ანსამბლში იყო წერეთლების კარის ეკლესიაც (წერეთლების გარდა ციხის მფლობელები ეპიზოდურად იყვნენ ფალავანდიშვილების საგვარეულოც და იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც). საჩხერეში იყო წერეთლების სასახლეც, რომელიც ჯერ საავადმყოფოდ იყო გადაკეთებული, შემდეგ კი დაანგრიეს. სწორედ ამ სასახლემდე, სავარაუდოდ, ეშვებოდა ციხის გვირაბი. დღეს ამ საკითხის კვლევას დიდი არქეოლოგიური ძალისხმევა სჭირდება არა მარტო გვირაბის სიგრძისა და მიმართულების დასადგენად. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო ბრინჯაოსა და რკინის პერიოდის ნივთები, მიცვალებულთა დამარხვის განსაკუთრებული ფორმაც (აქ აღმოჩენილი ქვაყრილიანი სამარხები უმთავრესად კოლექტიურია. მიცვალებულები ესვენენ მარჯვნივ ან მარცხნივ გვერდზე ხელფეხმოკეცილად. დაკრძალვის ეს წესი შეცვლილა ადრინდელ ანტიკურ და ელინისტურ ხანაში. მხოლოდ გვიანდელი ანტიკური ხანის სამარხებში მამაკაცები ესვენენ გულაღმა. ეს ცვლილება ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებით უნდა აიხსნას).

თამარის ეპოქის შემდეგ დასუსტებული ქართული სახელმწიფო წარმონაქმნთაგან ყველაზე ძლიერი რაჭის საერისთაო თამამ პრეტენზიას აცხადებდა იმერეთის სამეფოზე და მის შემადგენელ ნაწილზე–საწერეთლოზე (ეს ყველაფერი ისტორიული წყაროებითაც დასტურდება, თუნდაც ის ფაქტი გავითვალისწინოთ, რომ მღვიმევის სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ტაძარი რაჭის ერისთავთა დაკვეთით არის აგებული).

— სწორედ მოდინახის აღდგენისა და მისი მიმდებარე ციცაბო ფერდობის განაშენიანებისათვის იქმნება ძირითადად ეს ფონდი, მაგრამ ამის გარდა ჩვენ დასახული გვაქვს მიზნად, რომ ქალაქში მოვაწყოთ პატარა სკვერიც, რომელიც მუხრან მაჭავარიანის სახელობის იქნება. სავარაუდოდ, ფონდის საქმიანობა იქნება მრავალჯერადი და მისი ლიკვიდაცია ამჯერად დასახული მიზნების შესრულებით არ ამოიწურება. გვაქვს დიდი იმედი საზოგადოების ჩართულობის, ასევე ვიცით, რომ საჩხერიდან წასული ებრაელები აპირებენ აქტიურად ჩაერთონ საჩხერის ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხში. რაც შეეხება მოდინახის ფერდობის გამწვანების საკითხს, ეს იქნება რამდენიმე კუთხით მომგებიანი. სავარაუდოდ, ფერდობზე გაშენდება მეზოფიტი მცენარეები ხეივნის ფორმით. ძირითადი გზის გარდა იარსებებს ფეხით სასიარულო ბილიკები. განათებისა და ე.წ. ,,აკაკის თავის“ აღდგენაც უნდა მოვახდინოთ. ამის შემდეგ ფერდობი იქნება ნაკლებადსაშიში ეროზიის თვალსაზრისით, ეკოლოგიურიურად სუფთა გარემოსაც მივიღებთ და ტურისტულადაც მიმზიდველი გახდება. მოდინახე მხოლოდ ერთხელ იქნა აღებული რუსების მიერ, ეს მოხდა გამცემლობის ხარჯზე, მოღალატემ რუსებს უთხრა, რომ საკვების მარაგი იყო ძალიან მცირე და თან ციხის გარნიზონს ქალი ხელმძღვანელობდა! ახლა კი დროა, რომ ვიზრუნოთ მოდინახის აღდგენაზე. მომავალში გრანდიოზული ,,აკაკიობა“ უნდა აღინიშნოს საჩხერეში და მოხარული ვიქნები, თუ ჩემ მიერ ინიცირებული იდეა იქნება ხორცშესხმული, –აღნიშნა ,,ახალ თაობასთან“ საუბრისას საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ინგა ზაბახიძემ.

როგორც ფონდის სამუშაო ვერსია გვეუბნება, ფონდს აარსებს საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარე. ფონდის ხელმძღვანელობა 5 კაციანი ჯგუფით განისაზღვრება, რომლის საქმიანობაც იქნება გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულიც საზოგადოების წინაშე. ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს ფონდის მატერიალური რესურსების მოსაძიებლად ტელემარათონის ჩატარება, საბანკო ანგარიშის გახსნა, საზოგადოების ჩართვა ფერდობის გამწვანების საკითხში.

ფონდ ,,მოდინახის“ შესახებ კომენტარი გააკეთა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ივანე გოშაძემ:

— ვიცი, რომ საკრებულოს სურს ფონდ ,,მოდინახის“ დაარსება, ეს ძალიან კარგი და მისასალმებელი ფაქტი იქნება, რადგან მოდინახე თავად წარმოადგენს საჩხერის სავიზიტო ბარათს. ყველანაირად ვეცდებით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოვიძიოთ თანხები, რომელიც ფონდს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. ასეთ საქმიანობაში საკრებულოსა და გამგეობას ყოველთვის გვექნება თანამშრომლობა.

# ქართული წარმოების უნიკალური აპარატის გამოშვება შესაძლებელია

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ეკონომიკის ზრდისათვის აუცილებლად სჭირდება მეცნიერებატევადი დარგების განვითარება. ქვეყანაში ამის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ამ პოტენციალს გამოყენება და გვერდში დგომა სჭირდება მატერიალურადაც და ინფორმაციული თვალსაზრისით. სამშენებლო მასალების მრეწველობაში ერთ-ერთი ძირითადი ცემენტისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოებაა. ამ სამშენებლო მასალების ხარისხის დადგენა ძირითადად მის შემდეგ ხდება, როცა ის უკვე გამოყენებულია. ,,ახალ თაობას“ ამ საკითხებზე ესაუბრა ინჟინერ-ტექნოლოგი აკაკი ირომაშვილი.

***— მართალია რომ ცემენტი ქართველმა გამოიგონა? თუ ესეც იმ სტერეოტიპის ნაწილია, რომელიც გულისხმობს „რაც მაგრები ვართ ქართველები ვართ?“***

— პორტლანდცემენტი, თანამედროვე გაგებით, გენეტიკურად ქართველმა გამოიგონა, მისი სახელია იაგორ გერასიმეს ძე ჭელიძე, ( რუსულად ეგორ გერასიმოვიჩ ჩელიევი). იგი შთამომავალია ვახტანგ მეექვსის ამალის ერთ-ერთი აზნაურის, რევაზ ჭელიძისა, რომელიც რუსეთში დასახლდა და იქვე დაოჯახდა.

პორტლადცემენტის აღმომჩენის გვირგვინი, მის შვილიშვილს, იაგორს ერგო. რაც ქართველი კაცის სინანულის თანმხლებ, სამართლიან სიამაყის გრძნობას უნდა იწვევდეს. პორტლადცემენტი ხომ რკინაბეტონთან ერთად კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა! წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა თანამედროვე მშენებლობა პორტლანდცემენტის გარშე? თუმცა საკითხავია, რას გააკეთებდა იგივე იაგორი, მისი პაპა საქართველოში რომ დარჩენილიყო? ალბათ ვერაფერს, რადგან მაშინდელ საქართველოს ასეთი რამეებისთვის (სამწუხაროდ, როგორც ახლა!) არ ეცალა. იაგორ ჭელიძემ 1825 წლის დასაწყისში დააპატენტა თავისი აღმოჩენა. მის საწარმოებში დამზადებულ ცემენტს ჯერ კიდევ ნაპოლეონის სამხედრო ოპერაციის დროს დანგრეული მოსკოვის აღდგენისთვის იყენებდნენ.

***— ამბობენ, რომ ცემენტის წარმოების პიონერები ინგლისელები იყვნენ...***

— იაგორზე რამდენიმე თვით ადრე ანალოგიური პატანეტი გასცეს ინგლისელებმა ჯოზეფ ასპდინზე 1924 წლის ბოლოს. სინამდვილეში ასპდინის მიერ აღწერილი მასალა უფრო რომანცემენტი იყო, ვიდრე პორტლანდცემენტი. რომანცემენტი მასალაა, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს კირსა და ნამდვილ პორტლანდცემენტს შორის. ამიტომაც ანგლოსაქსური სამყარო ასპდინს მიიჩნევს ცემენტის აღმომჩენად, ხოლო სლავური სამყარო–ჭელიძეს.სხვათაშორის, 1971 წელს ქ. თბილისში მთელმა მსოფლიომ აღნიშნა იუნესკოს ეგიდით იაგორ ჭელიძის დაბადებიდან 200 წლისთავი

***— პორტლანდცემენტის სტანდარტული სიმტკიცის დადგენა რიგ სირთულეებს ქმნის, რატომ არის პრობლემატური ეს საკითხი?***

— ის ფაქტი, რომ პორტლანდცემენტს სტანდარტული სიმტკიცის დადგენას 28 დღე სჭირდება, ბევრ უხერხულობას უქმნიდა და უქმნის ცემენტის მწარმებლებს და მომხმარებლებსაც. როცა ცემენტის სიმტკიცეს ადგენენ, ის ცემენტი უკვე გახარჯულია. ბუნებრივია, 28 დღეს არც მწარმოებელი და არც მომხმარებელი ამდენი დღით ცემენტს არ გააჩერებს და ჩაუშვებს საქმეში.



სწორედ ამან განაპირობა დაჩქარებული მეთოდების შექმნის აუცილებლობა და რა საოცარიც არ უნდა იყოს, გასული საუკუნის 80 წლებამდე არ არსებობდა მეტნაკლებად სანდო მეთოდი, რომელიც ცემენტის სიმტკიცეს განსაზღვრავდა დამზადების დროს ან ობიექტზე მიღებისთანავე.

***— თქვენ უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ზრუნავდით ოპტიმალური გზების ძიებაზე...***

— 1982 წელს ვმუშაობდი ქ. გურჯაანში სამშენებლო ლაბორატორიაში ტექნიკური კონტროლის უფროსად და ცემენტის სიმტკიცის განსაზღვრის საკითხი მეც დიდი დისკომფორტს მიქმნიდა. ერთხელ სომხებმა ქ. რაზდანიდან გამოგვიგზავნეს 1500 ტონა (საგარნტიო მარკით „400“) ცემენტი. ჩვენი კომბინატის ხელმძღვანელობამ არ დაუცადა ლაბორატორიის დასკვნას და პირდაპირ გაუშვა წარმოებაში, რასაც მოყვა 150 მ/კბ ბეტონის და რკინა-ბეტონის კონსტრუქციის გაფუჭება. მაშინ დავუსვი ჩემს თავს კითხვა, ნუთუ არ შეიძლება ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, მიახლოებით მაინც რომ გაგვეგო ცემენტის სიმტკიცე მიღებისთანავე.

ჩამოვედი თბილისში და დავუახლოვდი იმ ხალხს, ვისაც ამ სფეროში ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი იყო პროფესორი თ. ხვედელიძე, რომელსაც ახლაც უდიდეს პატივს ვცემ. მან კარგი რჩევა მომცა, თუ რა გზით მევლო. თუმცა იმის გამო, რომ მაშინ ისეთი მცირე ძაბვების გამზომი აპარატურა არ გამაჩნდა, რომელიც აღიძვრება ცემენტის ცომში ელექტროდების ჩანერგვით, იძულებული გავხდი სხვა გზით წავსულიყავი, კერძოდ – ავაწყვე პრიმიტიული აპარატი, რომელიც შესდგებოდა ამპერმეტრის, ვოლტმეტრის 2 ელექტროდისა და ბატარეიისგან. ვზომავდი ცემენტწყალხსნარის კუთრ ელექტრო გამტარობას, რომელსაც შემდგომში ეწოდა ცემენტის აქტივობის გაზომვის კონდუქტომეტრიული მეთოდი, რაზედაც გაიცა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში 2 საავტორო მოწმობა № 1314267 და № 1695227. 1990 წლის ბოლოს უკვე ქარხნული წესით დავამზადეთ 10 ხელსაწყოსგან შედგენილი საცდელი პარტია, რომელთაგანაც 5 შეიძინა ტრესტმა ,,ინჟმშენმა“ და მაშინდელი ფასებისთვის ასტრონომიული თანხა 50 000 მანეთი გადაიხადა! საქართველოს მოთხოვნილება პრაქტიკულად 1 თვეში დაკმაყოფილდა და გავედით საკავშირო ბაზარზეც.

***— დროის გასვლასთან ერთად ყველანაირი ტექნიკური საშუალება დახვეწას მოითხოვს, როგორი მდგომარეობა გაქვთ ამჟამად აპარატის სრულყოფილების თვალსაზრისით?***

— დღეის მდგომარეობით ხელსაწყოს მეხსიერაბაში ჩადებულია 18 პარამეტრიანი განტოლება, რომლის ხელსაწყოში შეტანა ქართველმა პროგრამისტებმა უზრუნველყვეს. აპარატი უკვე შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერი ბეტონის ნარევის სიმტკიცის პროგნოზირებას 5-7 % ცდომილებით, რაც ბეტონის სიმტკიცის დაჩქარებული მეთოდით კონტროლისთვის კარგ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამაჟამად ,,საქპატენტში“ შეტანილია განცხადება ახალი პატენტის მოსაპოვებლად. ხელსწყოს დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან ავიცილოთ უხარისხო ბეტონის ნარევის სამშენებლო კონსტრუქციებში მოხვედრა. ბეტონის ხარისხის შემოწმება პრაქტიკულად ხდება ბეტონმრევშივე. ხელსაწყო ზომავს ბეტონში შემავალ ცემენტის რაოდენობას, მის სიმტკიცეს, წყლის რაოდენობას და საბოლოოდ იძლევა ბეტონის სიმტკიცის შედეგს როგორც კუმშვაზე, ისე ღუნვაზე. ამ ხელსაწყოს ჯერჯერობით მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ამჟამად ხელსაწყო გადის ტესტირებას დიდ ბრიტანეთში, ევროკავშირის სერთიფიკატის მოსაპოვებლად, რომელსაც მთელი მსოფლიო აღიარებს.

***— ბრიტანელები ზედმიწევნით კონსერვატორები არიან, ეჭვის თვალით არ შეხედეს თქვენს გამოგონებას?***

— კი. ინგლისელ სპეციალისტებსაც არ ეგონათ, ასეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შესაძლებელია რაიმე ღირებულის შექმნა, მაგრამ აზრი მალევე შეიცვალეს, როდესაც მათ მიერ გამოგზავნილ სხვადასხვა ტიპის 4 ცემენტზე ზუსტი პასუხები მიიღეს. ამ ხელსაწყოს მასობრივ გამოშვებას აპირებს დიდი ბრიტანეთი, რამდენიმე ფირმა მზად არის სათანამშრომლოდ, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, რომ საქართველოსთვის დაიკარგოს, ან შემდგომში ათმაგად მეტის გადახდა მოუწიოთ ჩვენს მშენებლებს, რადგან ინგლისური ფირმა ინგლისისთვის იმუშავებს და არა საქართველოსთვის! მე კი მივიღებ ჩემს კუთვნილს, მაგრამ ამით ჩვენს ბიუჯეტს არაფერი არ შეემატება. მითუმეტეს, რომ მას მსოფლიოში ნახევარი მილიონი პოტენციური მომხმარებელი ელოდება, ხოლო გამზომი ხელსაწყოების ფასი მსოფლიო ბაზარზე ძალიან მაღალია.

## გოგი ხუციშვილი: „ივანიშვილს პრობლემებს თავისივე განცხადებები უქმნის“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

***— ეს ხომ არ იქნება აღქმული ქვეყნის შიგნით მოქალაქეების მიერ ერთგვარ უკანდახევად, დათმობად ივანიშვილის მხრიდან?***

— აქ უკვე მნიშვნელოვანია ივანიშვილის დარწმუნების უნარი, რაც ზოგჯერ უმტყუნებს ხოლმე. ის, რასაც აკეთებს, ინტერპრეტაციას იძენს გარეთ. მაგალითად, მახსენდება ივანიშვილის განცხადება, როდესაც მან თქვა, სამართლებრივ პროცესებში არ ვერევი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბუნება გამომჟღავნდეს, რომ ყველამ ნახოს, რა ტიპის ძალასთან გვქონდა საქმე. ამ განცხადებაზე რუსულ ინტერნეტ და საგაზეთო გამოცემებში ასეთ კომენტარს ვკითხულობ: ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ სამართლებრივი დევნა მისი პროვოცირებული იყო. წარმოიდგინეთ, როგორი ინტერპრეტაციაა. ეს რომ არ მოხდეს, პრემიერს ვინც უმზადებს კომენტარებს, განცხადებებს, ვინც მის ლექსიკონზე მუშაობენ, ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ასეთი ინტერპრეტირების შესაძლებლობა არ გაჩნდეს.

***— ბატონო გოგი, ხომ შეიძლება, თვითშემოქმედება იყოს და ხშირად კონსულტაციების გარეშე გულწრფელად საუბრობდეს, თუ ეს დიდ პოლიტიკაში არ ხდება?***

— თუ ეს ასეა, მაშინ უფრო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ძალიან გათვლილი და დაწმენდილი უნდა იყოს, რომ მმართველი ძალის განცხადებების ინტერპრეტირება ადვილად არ მოხდეს, მით უმეტეს, რომ ეს არის ახალი მმართველი ძალა.

***— ხუთპუნქტიან გეგმას რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება, ხელისუფლებამ შეასრულოს?***

— შესაძლებელია. „ნაცმოძრაობაშიც“ ადვილად ხვდებიან, რიგგარეშე არჩევნები რომ დაინიშნოს, ისინი ვერ მოიგებენ, მეტიც, უფრო დააჩქარებენ თავიანთ, როგორც პოლიტიკური ძალის დასასრულს,. ამას ხედავენ და ამიტომ მათ აწყობთ რეალური კოჰაბიტაცია. თუ მოხდება ისე, რომ „ქართული ოცნება“ აპრილამდე ხალხის ნდობას დაკარგავს, ისინი ამით ისარგებლებენ და ამაზე ააგებენ პარლამენტის მიმართ პრეზიდენტის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას, მაგრამ აქტიური საბოტაჟი, დემონსტრაციები „ნაციონალებს“ არ გამოუვათ. არც საზღვარგარეთ გარკვეული კამპანიებით შეძლებენ ქვეყნის შიგნით „ქართული ოცნების“ დასუსტებას, ამისთვის რესურსი არ აქვთ და არც გამოუვათ. ამიტომ პანიკაში არიან, პანიკა სააკაშვილის საახალწლო სიტყვაშიც იგრძნობოდა. სააკაშვილი კარგად ხედავს, რომ საკმარისი საშუალება არ აქვს, თავისი გეგმა განახორციელოს. სააკაშვილის გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ 2013 წელს „ქართული ოცნების“ მმართველობა დაასრულოს და პოლიტიკური გარდატეხა მოხდეს, მაგრამ გრძნობს, ამის რესურსი არ აქვს და ამიტომ შეიმუშავა დაზავების გარკვეული გეგმა, რასაც სთავაზობს ივანიშვილს. ამაზე კი არის დასავლეთის გარკვეული ზეწოლა, რომ რეალური კოჰაბიტაცია მოხდეს. თუ დასავლეთმა მიიღო გარანტია, რომ ვექტორი არ შეიცვალა, მერე უკვე სრულიად სხვა განწყობა იქნება საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ მათი მხრიდან.

# ეროვნულმა კინოცენტრმა შედეგები შეაჯამა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა გასული წელი შეაჯამა და განხორციელებული პროექტებისა თუ განსახორციელებელი პროექტების ეშსახებ დეტალური ცნობები გამოაქვეყნა.

როგორც ეროვნული ცენტრი იუწყება, დასრულდა რამდენიმე ქართული. რეჟისორმა დემნა ჯაფარიძემ დაასრულა დოკუმენტური ფილმი ,,ქართული ნაგაზი“ (საპროდიუსერო კომპანია ,,თი-სტუდია“), ასევე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (რეჟისორი თინათინ გურჩიანი, საპროდიუსერო კომპანია ,,ალეთეა“), მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეტონატორი“ (რეჟისორი ბესო სოლომონაშვილი, საპროდიუსერო კომპანია „სოლოსოლო“). სამონტაჟო პერიოდშია რეჟისორ ალექსანდრე რეხვიაშვილის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ (საპროდიუსერო კომპანია ინდ.მეწარმე „საბა ამირეჯიბი“), ასევე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო“ (რეჟისორი უტა ბერაია, საპროდიუსერო კომპანია „სტუდია რეალითი“), სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძმა“ (რეჟისორი – თეონა მღვდელაძე-გრენადე, საპროდიუსერო კომპანია „სინეტექი“, ქართულ-სომხურ-ფრანგულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი კოპროდუქცია ,,ფარაჯანოვი“ (რეჟისორები – ოლენა ფეტისოვა, სერჟ აველიკიანი, საპროდიუსერო კომპანია ,,ჯემინი“), სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (რეჟისორი გელა კანდელაკი, საპროდიუსერო კომპანია ფიზიკური პირი ირაკლი ბაღათურია), სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ჩემი საბნის ნაკეცი“ (რეჟისორი ზაზა რუსაძე, საპროდიუსერო კომპანია ,,ზაზარფილმი“), სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟისორი სიმონ გროს, ნანა ექვთიმიშვილი, (საპროდიუსერო კომპანია „პორალე ფილმი“), სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ტოტალიზატორული

ფსიქოზი“ (რეჟისორი კონსტანტინე ესაძე, საპროდიუსერო კომპანია „გოგოლები“), მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხი და მოყმე“ (რეჟისორი მარიამ კანდელაკი, საპროდიუსერო კომპანია ფიზიკური პირი ზურა ქვაჩახია), სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,სახლი გზის პირას“ (რეჟისორი გიორგი ბარაბაძე, საპროდიუსერო კომპანია ,,ბასტრა ფილმსი). გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,მანდარინები“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე, საპროდიუსერო კომპანია ,,სინემა 24“), მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (რეჟისორი კოტე თაყაიშვილი, საპროდიუსერო კომპანია ფიზიკური პირი ზურა ქვირია), სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (რეჟისორი ალექსანდრე კვატაშიძე, საპროდიუსერო კომპანია „სტუდია ლოკოკინა“), სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა“ (რეჟისორი ნინო გოგუა, საპროდიუსერო კომპანია „ლიბ ჯი“), სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (რეჟისორი ანა ციმინტია, საპროდიუსერო კომპანია „მეტჩჰაუს ფილმი“). წარმოების პროცესშია ,,სანგუკოს“ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმის პროექტი ,,თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი ,,ველური დღეების ქრონიკები“ რეჟისორი დავით უჯმაჯურიძე. მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“, (რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, საპროდიუსერო კომპანია „ალამდარი“), სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, ქართულ-ბრიტანული კოპროდუქცია „ეპიკი“ (რეჟისორი ბენ ჰოპკინსი), მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინოლა“ (რეჟისორი მარიამ ხაჭვანი, საპროდიუსერო კომპანია „აბკ“). რაც შეეხება კინოსცენარებს, დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „უარყოფითი რიცხვები“ (სცენარის ავტორი უტა ბერია), განვითარების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შეყვარებული დომინიკი“ (სცენარის ავტორი მზია კეკელიძე), დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მაღლა აწეული ხელები“

(სცენარის ავტორები – ქეთევან მაჭავარიანი, ნესტან კვინიკაძე), დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „სხვისი სახლი“ (განმცხადებელი

და სცენარის ავტორი რუსუდან გლურჯიძე), დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მე ვარ ბესო“ (სცენარის ავტორი გიორგი ცქვიტინიძე).

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

როგორც ეროვნული კინოცენტრის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია აღნიშნული, ქართული ფილმები სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზეა მიწვეული. სანამ ქართული ფილმები კინოფესტივალებზე იქნება წარდგენილი, სხვადასხვა ფესტივალების წარმომადგენლები საქართველოს სტუმრობდნენ. ბერლინალეს წარმომადგენლები თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. მათ შორის ბერლინალეს ფორუმის ხელმძღვანელი კრისტოფ ტერჰეხტე და ბერლინალეს

სელექციონერი ნიკოლაი ნიკიტინი. ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოსული სტუმრები გაეცნენ ქვეყანაში მიმდინარე კინოპროცესებს, ნახეს ბოლო პერიოდის ქართულ ფილმები და შეხვდნენ ქართველ კინემატოგრაფისტებს. განსაკუთრებულ ინტერესს მათში ქართული კინოსექტორის ახალგაზრდა წარმომადგენლები იწვევენ. ბერლინალესთან ეროვნული კინოცენტრი უკვე წლებია თანამშრომლობს. ოფიციალური შეხვედრა საქართველოს კულტურის მინისტრსა და ბერლინალეს პრეზიდენტს შორის გაიმართა ფესტივალის დროს 2012 წლის თებერვალში. თბილისში იმყოფებოდნენ სარაევოს კინოფესტივალის დელეგაციის წარმომადგენლებიც. სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდნენ ფესტივალის დირექტორი მირსად პურივატრა, ინდუსტრიული სექციის ხელმძღვანელი იოვან მარიანოვიჩი და ინდუსტრიული პროექტების მენეჯერი ენა დოზო. ვიზიტის მიზანი იყო, ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის გაეცნოთ სარაევოს კინოფესტივალის პროგრამები და გაეწიათ კონსულტაციები მომავალი თანამშრომლობისთვის, რადგან 2012 წლიდან სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამა ქართველი მონაწილეებისთვის ოფიციალურად გაიხსნა. კინოცენტრის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლიდან საქართველოსთვის ასევე გაიხსნება ფესტივალის საკონკურსო პროგრამა. მოლაპარაკება ფესტივალის დირექტორს და ეროვნული კინოცენტრის დირექტორს შორის დაიწყო 2011 წელს. საქართველოს დედაქალაქს სტუმრობდნენ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენლებიც. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში თბილისში ჩამოვიდნენ მარტინა მალაკრიდა ფესტივალის სექციის „ოფენ დორს“ხელმძღვანელი და ჟოელ შაპრონი ფესტივალის კონსულტანტი და რეგიონის ექსპერტი. ეროვნული კინოცენტრის და ფესტივალის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუმრები საქართველოში შეხვდნენ ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებს და გაეცნენ მიმდინარე კინოპროექტებს. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, ქართველი კინემატოგრაფისტები ჩაერთონ ევროპულ კინოპროცესებში. ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამა „ოფენ დორს“ 2013 წელს ფოკუსს აკეთებს კავკასიის რეგიონზე. სექციის მიზანია, ხელი შეუწყოს სამხრეთ და აღმოსავლეთ

ევროპის რეგიონებიდან რეჟისორებს და პროდიუსერებს, მოიძიონ პოტენციური პარტნიორები.

– სხვა პროექტებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულმა კინოცენტრმა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ერთობლივი პროექტი განახორციელეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, ბოლო წლებში გადაღებული წარმატებული

ქართული ფილმების ინტენსიურად გაშვება დაიგეგმა. ფართო მაყურებელს საშუალება მიეცა ნახოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ბოლო 7 წლის მანძილზე მხარდაჭერილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. ეროვნული კინოცენტრის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტის მიზანია, საზოგადოებამ ნახოს და შეაფასოს თანამედროვე ქართული საავტორო კინო, რისი საშუალებაც კინოთეატრებში არც ისე ხშირად არის. პროექტი ეთერში გადის ნოემბრიდან, კვირაში ერთხელ. ფილმის დაწყებამდე ეთერშია 15-წუთიანი ე.წ. ინტრო, რომელშიც წამყვანი მაყურებელს კონ-

კრეტული ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრს აცნობს – რეჟისორს, პროდიუსერს ან მსახიობს, შემდეგ კი ის თავად წარუდგენს საკუთარ ნამუშევარს მაყურებელს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ეროვნული კინოცენტრი არ ღალატობს ტრადიციას და კვლავად წარადგენს ჟურნალს „ფილმ პრინტი“, რომელიც კინოსამყაროში მიმდინარე სიახლეებზე აკეთებს აქცენტს. ჟურნალის მეექვსე ნომრის პრეზენტაცია კულტურის სამინისტროში გაიმართა. მისი რედაქტორები იყვნენ კინომცოდნე და რეჟისორი ირაკლი ჩხიკვაძე და დამოუკიდებელი

ჟურნალისტი ირინე ჟორდანია. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესოა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ იწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. ჟურნალის მეექვსე ნომერში აქცენტი გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფზე და მის პრობლემატიკაზე. წლის მიწურულს კი კაფე გალერეაში შედგა ჟურნალის საახალწლო ნომრის პრეზენტაცია. მისი რედაქტორები რეჟისორი ქეთი მაჭავარიანი და ჟურნალისტი ნუცი კირცხალია იყვნენ. ჟურნალ ფილმ პრინტის ზამთრის ნომერში გაერთიანებულია თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის, რუსული ფილმების ფესტივალის და ბრატისლავაში

ქართული ფილმების რეტროსპექტივის მიმოხილვა, ასევე მკითხველს აქვს საშუალება გაეცნოს ქართული ფილმების „ამერიკა ერთ ოთახში“, „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ და „რამინის“ რეცენზიებს. რუბრიკა „ჩემი კინო“ სრულად მიეძღვნა ქართველ პროდიუსერს ლევან კორინთელს, რომელიც სექტემბერში 40 წლის ასაკში დაიღუპა. მისი კოლეგები და მეგობრები იხსენებენ მას როგორც პროდიუსერს და როგორც მეგობარს. ჟურნალშია ინტერვიუები რეჟისორ გელა ბაბლუანთან, მხატვარ დიმიტრი ერისთავთან, რეჟისორ მოჰსენ მაჰმალბაფთან და კინოსამყაროს სხვა ცნობილ წარმომადგენლებთან. ინდუსტრიულ ნაწილში მიმოხილულ იქნა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალისა და ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის დელეგაციების ვიზიტები საქართველოში. ჟურნალშია სპეც და ფოტოპროექტები და სხვა საინტერესო მასალები კინოზე.

– ეროვნულმა კინოცენტრმა გამოსცა ენციკლოპედია „ქართული ანიმაციური კინოს მატიანე“, რომლის წარდგინებაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააქტო დარბაზში შედგა. ენციკლოპედია შეადგინა ლალი გორგასლიძემ, რომელიც საბავშვო კინოცენტრ „ფიფქიას“ დამფუძნებელია. წიგნი გამოიცა ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. ენციკლოპედიის ეგზემპლარები არ გაიყიდება,

ის სასაჩუქრეა. ენციკლოპედია დეტალურად ასახავს ქართული ანიმაციის ისტორიას, პირველი დღიდან თანამედროვე მულტიპლიკაციამდე. ილუსტრაციებით მდიდარი წიგნი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით გამოირჩევა. „ქართული ანიმაციური კინოს მატიანე“ არის პირველი წიგნი, რომელიც ქართულ ანიმაციას მიეძღვნა, – აცხადებს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი თამარ ტატიშვილი.

ბოლო პერიოდში ქართული კინო საზღვარგარეთ აქტიურად მოგზაურობს. ქართული ფილმების კვირეული უკვე მოეწყო სტრასბურგში, სადაც ქართული კულტურის დღეების

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# საქართველოს სტეფან კაზარიანი ესტუმრა

ფალავანთა კლუბში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე მედიასთან ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ და საქართველოში საქმიანი ვიზიტით მყოფმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მწვრთნელთა დეპარტამენტის აღმასრულებელმა მდივანმა სტეფან კაზარიანმა ისაუბრეს. პრესკონფერენციას დაესწრო სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე. პრესკონფერენციის მთავარი თემა 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატი და ჩემპიონატთან დაკავშირებული სამზადისი იყო.

**ლუკა კურტანიძე:**

– ჭიდაობის ფედერაციას ფილას წარმომადგენელი სტეფან კაზარიანი სტუმრობს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ სამუშაოებს ეცნობა. ევროპირველობას, რომელსაც მარტში ვმასპინძლობთ ჩვენი ქვეყნისთვის როგორც სპორტული, ასევე კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც საორგანიზაციო საკითხების გადასაჭრელად იმუშავებს. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ საქართველომ ევროპის ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლოს. ჩვენი მოჭიდავეები კი კონტინენტის პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ და გულშემატკივარი მედლებით გაახარონ“.

**სტეფან კაზარიანი:**

– გილოცავთ ახალ წელს და პატრიარქის იუბილეს. აქ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის გასაცნობად ჩამოვედი. აგრეთვე, გავეცნობი ევროპის ჩემპიონატის წინა მოსამზადებელ სამუშაოებს. იმედი მაქვს, რომ საქართველო ევროპის ჩემპიონატს მაღალ დონეზე უმასპინძლებს, საამისოდ საჭიროა, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მითითებები და რჩევები გაითვალისწინოს. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება და ევროპირველობაც სათანადოდ ჩატარდება“.

# ჯობავა დაქვეითდა, ძაგნიძე დაწინაურდა

საახალწლოდ ფიდემ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგები გამოაქვეყნა. მამაკაცთა შორის პირველ ადგილზე ნორვეგიელი ვუნდერკინდი მაგნუს კარლსენია, რომელმაც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის, გარი კასპაროვის რეკორდი გააუმჯობესა – 2861 ქულა.

ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაშის გამო საქართველოს ნომერ პირველი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავა 45-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა – 2702 ქულა. ჯობავას გარდა ვაჟ მოჭადრაკეთა საუკეთესო ასეულში სხვა არავინ გვყავს.

სამაგიეროდ, ქალთა საუკეთესო ასეულში საქართველოს 9 წარმომადგენელი იმყოფება. საქართველოს ნომერ პირველმა მოჭადრაკე ნანა ძაგნიძემ 2555 ქულით მეექვსედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ძაგნიძის გარდა ქართველი მოჭადრაკეებიდან საუკეთესო ასეულში მოხვდნენ: 17. ბელა ხოტენაშვილი (2498), 31. ლელა ჯავახიშვილი (2461), 43. ნინო ხურციძე (2437), 54. სოფიკო გურამიშვილი (2414), 57. ნინო ბაციაშვილი (2407), 65. სალომე მელია (2403), 73. ნაზი პაიკიძე (2391), 76. სოფიკო ხუხაშვილი (2386).

**მოჭადრაკეთა საუკეთესო ათეულები:**

**ვაჟები:**

1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2861), 2. ვლადიმირ კარიაკინი (რუსეთი, 2810), 3. ლევონ აროიანი (სომხეთი, 2821), 4. თეიმურ რაჯაბოვი ( აზერბაიჯანი, 2793), 5. ფაბიანო კარუანა (იტალია, 2781), 6. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2780), 7. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2772), 8. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), 9. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2769), 10. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766).

**ქალები:**

1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2696), 2. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2603) 3. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597), 4. ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2582), 5. ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2555), 6. ჟაო სიუ (ჩინეთი, 2554), 7. კატერინა ლაჰნო (უკრაინა, 2547), 8. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), 9. მარი სებაგი (საფრანგეთი, 2530), 10. პია კრამლინგი (შვედეთი, 2518).

# გულშემატკივრებმა საუკეთესოდ ოქრიაშვილი აღიარეს



პორტალ „მსოფლიო სპორტმა“ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის ინტერნეტ-გამოკითხვა ჩაატარა გულშემატკივრებში. „მსოფლიო სპორტის“ თასის გამარჯვებული უკრაინის „ილიჩივეცის“ ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი გახდა, რომელმაც 642 ხმა დააგროვა. სულ კი, გამოკითხვაში მონაწილეობა 1831-მა გულშემატკივარმა მიიღო.

მე-2 ადგილზე, 588 ხმით, ჰოლანდიის „ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშია გავიდა, ხოლო მე-3 ადგილი წილად ხვდა თბილისის „დინამოს“ მეკარე გიორგი ლორიას, რომელმაც გამოკითხულთა 280 ხმა მიიღო.

დაპირებისამებრ, „მსოფლიო სპორტის თასის“ მფლობელის თორნიკე ოქრიაშვილის პირველი მწვრთნელი მამუკა ფანცულაია 2013 წელს ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობის სტიპენდიას მიიღებს, ხოლო კაშიასა და ლორიას პირველი დამრიგებლები, ყოველთვიურად 100-100 ლარს მიიღებენ.

თორნიკე ოქრიაშვილი:

– დიდი მადლობა. გახარებული ვარ ამ პრიზის მოგებით და „მსოფლიო სპორტის“ თასს დღეს საღამოს ჩემს პატარა ვაჟს, ალექსანდრეს ვაჩუქებ (თორნიკემ თავისი ვაჟი სწორედ დღეს მონათლა). მადლობა ყველა იმ გულშემატკივარს, რომელმაც მხარი დამიჭირა. კონკურენტები მართლაც ძალიან ძლიერები იყვნენ.

დავით ბაკურაძე, მსოფლიო სპორტის მთავარი რედაქტორი:

– ვულოცავ თორნიკეს. მან დამსახურებულად მოიგო „მსოფლიო სპორტის თასი“. უნდა ითქვას, რომ მის კონკურენტებსაც კარგი სეზონი ჰქონდათ და რომელიმე მათგანს რომ მოეგო, ნამდვილად არ იქნებოდა დაუმსახურებელი. მაგალითად, ძალიან სტაბილური სეზონი ჰქონდა გურამ კაშიას; ასევე, გამოირჩა გიორგი ლორია თავის ლამაზი და ეფექტური თამაშით; ჯაბა დვალი საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ როგორც „ზესტაფონის“, ისე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში; დავით თარგამაძე ქართველ ფეხბურთელთაგან უკვე მეორე სეზონია ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცა, გაიმარჯვა ოქრიაშვილმა. გულშემატკივრებმა ასე გადაწყვიტეს და ვულოცავ თორნიკეს. როცა ჩვენ ვიხსენებთ ისტორიაში ქართველთა საუკეთესო გოლებს, მათ შორის, თორნიკე ოქრიაშვილის გოლიც დარჩება, რომელიც ბელარუსებს გაუტანა. თორნიკე აქტიური იყო ესპანეთთან შეხვედრაშიც, სწორედ მან განახორციელა პირველი გარღვევა, მან გაამწვავა თამაში თავიდან, რომლის შემდეგ მთელი ნაკრები უკეთ ათამაშდა. ვისურვებდით, რომ თორნიკეს გაცილებით უკეთესი სეზონი ჰქონოდეს წლეულს და შემდგომ წლებშიც.

დაჯილდოვების შემდეგ ოქრიაშვილი 6 იანვარს დონეცკში გაფრინდა და „შახტარს“ შეუერთდა. დიდი ალბათობით, თორნიკე უკრაინის საუკეთესო გუნდში გააგრძელებს კარიერას.

# ზიდანი: „ინიესტა ჩემს თავს მახსენებს, მაგრამ ცოტა ფერმკრთალია“

ევროპის 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეს ინიესტა „ოქროს ბურთის“ მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ესპანელი არასდროს არ საუბრობს თავის საფეხბურთო მიღწევებსა და კარიერის შესახებ. სამაგიეროდ მასზე მისი პარტნიორები საუბრობენ.

**ლიონელ მესი:**

– ანდრესი დიდებული ადამიანია და ჩემი კარგი მეგობარი. „ოქროს ბურთს“ მას თუ გადასცემენ ძალიან გამიხარდება. მან ეს პირადი მიღწევებითა და კლუბის შედეგებით დაიმსახურა.

**ვისენტე დელ ბოსკე:**

– მსურს, რომ „ოქროს ბურთი“ ინიესტას გადასცენ, რადგან ის ესპანური ფეხბურთის ერთადერთი წარმომადგენელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ფეხბურთელს შესაბამისად დააფასებენ და დააჯილდოვებენ.

**პეპ გუარდიოლა:**

– ჩემი აზრით, თუ ვინმე ნამდვილად ღირსია ამ ჯილდოს დაეუფლოს – ანდრეს ინიესტაა. ეს ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომელიც სხვის საჯარიმოში თავს კარგად გრძნობს.

**დავიდ სილვა:**

– ჟურნალისტები ხშირად მეკითხებიან რომელია საუკეთესო მესი თუ რონალდუ? მაგრამ ჩემთვის ნათელია, რომ ნომერი პირველი ფეხბურთელი ანდრეს ინიესტაა. ეროვნულ ნაკრებში ის ჩემი მეგობარია და ვიცი, რომ მოედანზე მას ბევრის გაკეთება შეუძლია. ანდრესი განსაკუთრებულად ფლობს ბურთს, ის შესანიშნავი ფეხბურთელია, ძლიერი ხასიათის პატრონი.

**სანტი კასორლა:**

– ინიესტა მოედანზე ჩემი მაგალითია. ის იმაზე მეტია, ვიდრე ფეხბურთელი. ის იდეალური ფეხბურთელია ყველანაირი გაგებით. ვცდილობ მოედანზე მისი მოქმედება გავიმეორო, მაგრამ ეს ძალიან რთულია. ინიესტა ყველამხრივ მისაბაძი ადამიანია.

**სესკ ფაბრეგასი:**

– ინიესტა როდესაც ბურთს მიიღებს ისეთ პასს აკეთებს, რომელსაც კარგი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ის ყოველ წელს უმატებს ოსტატობას და გააქვს მეტი და აკეთებს ზუსტ საგოლე პასებს. ჩვენთვის ინიესტა ამოუწურავი ნდობის წყაროა. თამაშის დროს ის ხშირად იღებს საკუთარ თავზე მის წარმართვას და ამას იდეალურად ასრულებს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

ზამბია-ანგოლა ............................ 0:2
ნიგერი-ტოგო ............................ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სარაგოსა-ბეტისი ..................... 1:2
ლევანტე-ბილბაო ..................... 3:1
გრანადა-ვალენსია ..................... 1:2
დეპორტივო-მალაგა ..................... 1:0
სევილია-ოსასუნა ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 16 | 1 | 0 | 57:19 | 49 |
| 2.ატლეტიკო | 17 | 13 | 1 | 3 | 37:17 | 40 |
| 3.რეალი | 17 | 10 | 3 | 4 | 41:17 | 33 |
| 4.მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:13 | 31 |
| 5.ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28:29 | 31 |
| 6.ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:25 | 30 |
| 7.ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25:27 | 27 |
| 8.სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:20 | 25 |
| 9.რაიო | 17 | 8 | 1 | 8 | 22:32 | 25 |
| 10.ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21:25 | 24 |
| 11.ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 23:21 | 22 |
| 12.სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23:26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 20:26 | 22 |
| 14.ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 22:36 | 21 |
| 15.გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14:27 | 16 |
| 16.მალიორკა | 17 | 4 | 4 | 9 | 16:29 | 16 |
| 17.სელტა | 17 | 4 | 3 | 10 | 16:22 | 15 |
| 18.ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19:26 | 15 |
| 19.დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22:39 | 15 |
| 20.ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14:20 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი-ბარსელონა ბ ......... 1:3
რასინგი-პონფერადინა ................. 2:1
უელვა-ხიხონი ............................ 1:1
ალკორკონი-რეალი ბ .................. 3:2

**იტალია. სერია ა**

კატანია-ტორინო ......................... 0:0
ლაციო-კალიარი .......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 39:11 | 44 |
| 2.ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 28:19 | 39 |
| 3.ფიორენტინა | 18 | 10 | 5 | 3 | 36:19 | 35 |
| 4.ინტერი | 18 | 11 | 2 | 5 | 30:19 | 35 |
| 5.ნაპოლი | 18 | 11 | 3 | 4 | 33:17 | 34 |
| 6.რომა | 18 | 10 | 2 | 6 | 42:29 | 32 |
| 7.მილანი | 18 | 8 | 3 | 7 | 34:26 | 27 |
| 8.პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 25:24 | 26 |
| 9.კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| 10.უდინეზე | 18 | 5 | 9 | 4 | 26:26 | 24 |
| 11.ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 18:27 | 22 |
| 12.კიევო | 18 | 6 | 3 | 9 | 20:29 | 21 |
| 13.ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20:22 | 20 |
| 14.ბოლონია | 18 | 5 | 3 | 10 | 21:24 | 18 |
| 15.სამპდორია | 18 | 5 | 3 | 10 | 20:27 | 17 |
| 16.პესკარა | 18 | 5 | 2 | 11 | 15:35 | 17 |
| 17.კალიარი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:35 | 16 |
| 18.პალერმო | 18 | 3 | 6 | 9 | 15:27 | 15 |
| 19.ჯენოა | 18 | 3 | 5 | 10 | 18:30 | 14 |
| 20.სიენა | 18 | 4 | 5 | 9 | 16:26 | 11 |

## შედეგები

**შენიშვნა:**

**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**ნაპოლის დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-გიმარაეში .............. 0:0
რიუ ავე-ოლჰანენსე ..................... 0:1
აკადემიკა-სეტუბალი ................... 4:2
სპორტინგი-ფერეირა ..................... 0:1
პორტუ-ნასიონალი ....................... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-აეკი ............................. 3:1
პლატანიასი-იანინა ....................... 1:1
პანათინაიკოსი-ლევადიაკოსი ..... 1:2

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-ბოსტონი .................... 81:89
**ზაზა ფაჩულია:** 2 ქულა, 2 მოხსნა
ინდიანა-მილუოკი ...................... 95:80
ორლანდო-ნიუ იორკი............ 106:114
კლივლენდი-ჰიუსტონი .......... 104:112
ბრუკლინი-საკრამენტო .......... 113:93
**თორნიკე შენგელია:** 2 ქულა, 1 მოხსნა
მინესოტა-პორტლენდი ............ 97:102
დალასი-ნიუ ორლეანი ....... 96:99(ოტ)
სან ანტონიო-ფილადელფია ... 109:86
დენვერი-იუტა ......................... 110:91
კლიპერსი-გოლდენ სტეიტი ... 115:89

**ჩოგბურთი**

**ატპ. პერტი**

**ფინალი**

ჯოკოვიჩი-ვერდასკო ............ 6:3;7:5

**ატპ. ბრისბენი**

**ფინალი**

მიურეი-დიმიტროვი ............... 7:6;6:4

**ვტა. ოკლენდი**

**ფინალი**

რადვანსკა!ა.-ვიკმაიერი ........ 6:4;6:4

**ვტა. ბრისბენი**

**ფინალი**

უილიამსი!ს.-პავლუჩენკოვა .. 6:2;6:1

**ვტა. პერტი**

**ფინალი**

ივანოვიჩი-მედინა გარიგესი .. 4:6;7:6;2:6

# ძიუდოში დალაგების პერიოდი იწყება

როგორც იქნა გადაწყდა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელის ვინაობა. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ვეტერანი ძიუდოისტი ირაკლი უზნაძე უთავკაცებს. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ოფიციალურად დანიშვნის შესახებ განცხადება ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ასევე ცნობილი გახდა ფედერაციის ერთი ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის ვინაობაც.

**დავით ქევხიშვილი:**

– ფედერაციის პრეზიდენტად არჩევისთანავე მხოლოდ პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვინაბა განვაცხადე და ეს პოსტი მამუკა ყიზილაშვილმა ჩაიბარა. სხვა კადრების შესარჩევად კი დრო ვითხოვე, რადგან ისეთი ადამიანები შემერჩია, ქართულ ძიუდოს მართლა რომ გამოადგებოდნენ. ამჯერად მინდა რამდენიმე მათგანი წარმოგიდგინოთ. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას ნაკრების აწ უკვე ყოფილი წევრი ლევან ჟორჟოლიანი დაიკავებს. გენერალური მდივნის თაობაზე ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, კონკურსიც კი გამოვაცხადეთ და ვფიქრობ, საბოლოოდ საკმაოდ კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ – არჩევანი გიორგი ათაბეგაშვილზე შევაჩერეთ. მას აქამდე არ ვიცნობდი და გავესაუბრე თუ არა, მივხვდი, რომ დაკისრებული საქმისთვის თავის წარმატებულად გართმევა არ უნდა გაუჭირდეს. პროფესიით იურისტია, მუშაობდა „თიბისი ბანკში“ იურისტად და ერთ-ერთ კერძო კომპანიაში დირექტორად. მენეჯერად მუშაობის გამოცდილებაც აქვს, უცხო ენებსაც ფლობს და ბევრი რამ ფედერაციაში სწორედ ამ ადამიანზე იქნება დამოკიდებული. ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი დღეიდან ირაკლი უზნაძე იქნებოდა. ვინც არ იცნობს, ვიტყვი, რომ იგი წლების განმავლობაში თურქეთის ნაკრებში ჭიდაობდა და 2002 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. ბოლოხანს საქართველოს ნაკრებთან ერთადაც მუშაობდა და როდესაც მთავარი მწვრთნელობის არაერთ კანდიდატს შორის არჩევანის გაკეთებას ვცდილობდით, ირაკლის კანდიდატურა ყველასთვის სასურველი აღმოჩნდა. ცხადია, აზრი სპორტსმენებსაც ვკითხეთ და მათგანაც სრული მხარდაჭერა მივიღეთ. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ირაკლი უზნაძე ძალიან ობიექტური და აბსოლუტურად ნეიტრალური სპეციალისტია. მართალია, დიდი სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვს, მაგრამ არც გამოუცდელი ეთქმის. მინდა გულწრფელად ვთქვა, რამდენიმე ღირსეული კანდიდატურა განიხილებოდა და საბოლოო გადაწყვეტილება საერთო აზრის გათვალისწინებით მივიღეთ“ – განაცხადა დავით ქევხიშვილმა და იქვე მთავარი მწვრთნელის ასისტენტებიც დაასახელა. უზნაძეს ნაკრების გაწვრთნაში გიორგი ვაზაგაშვილი და დავით ასუმბანი დაეხმარებიან.

*– ირაკლი ცირეკიძესთან რაიმე სახით თუ გააგრძელებთ თანამშრომლობას?*

– ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდე, ერთხელაც გავიმეორებ უკვე არაერთგზის ნათქვამს. ცირეკიძის ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან წასვლა არანაირად არ ნიშნავს, რომ მის მიერ გაწეული მუშაობით უკმაყოფილო ვარ. პირიქით, დაკისრებულ მოვალეობას თავი საკმაოდ კარგად გაართვა, მაგრამ ძიუდოს ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ნაკრებს სათავეში სხვა მწვრთნელი ჩაუდგა. რაც შეეხება სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობას, ორ ვარიანტზე ფიქრობთ. ირაკლი ან ფედერაციაში დასაქმდეს, ან ჭაბუკთა ნაკრები ჩაიბაროს, თუკი ამის სურვილი ექნება.

*– ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის შეცვლაც გადაწყვეტილია?*

– ასეა და ახალი მწვრთნელის ვინაობას სავარაუდოდ 2-3 დღეში შეგატყობინებთ. გია თენაძე კი მუშაობას ქალთა ნაკრებში გააგრძელებს.

*– ცვლილებები ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბსაც შეეხება?*

– არა. ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გია გუგავა დარჩება.

*– ირაკლი უზნაძესთან კონტრაქტის დეტალებს გაგვიმხელთ?*

– სავარაუდოდ მინიმუმ ერთწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებთ.

*– ამ ერთი წლის განმავლობაში ნაკრების მთავარ მწვრთნელს რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევას ხომ არ მოსთხოვთ?*

– სიმართლე გითხრათ, ამაზე ჯერ არ გვისაუბრია. ბუნებრივია, იქნება რაღაც პირობები, მაგრამ უმალ მაღალი შედეგიანობის მოთხოვნა არარეალურად მიმაჩნია.

**ირაკლი უზნაძე:**

– მადლობა დიდი ნდობისთვის. ვეცდები დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებულად გავართვა. ამ ეტაპზე ჩემი უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება მალე გამოვიყვანო გუნდი იმ ინერტული მდგომარეობიდან, რომელშიც ბოლო წლების შიდა დაპირისპირებების გამო აღმოჩნდა. ნაკრები მაქსიმალურად უნდა შეიკრას. რაც შეეხება სამუშაო გეგმას, მოსამზადებელი შეკრებები ძირითადად საქართველოში უნდა გავიაროთ, რათა კადრს მიღმა დარჩენილ კანდიდატებსაც მაქსიმალურად მიეცეთ კონდიციების ამაღლებისა და შემდგომში თავიანთი შესაძლებლობების საუკეთესოდ გამოვლენის შანსი. ევროპის ჩემპიონატამდე 5 საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ. შიდა კონკურენციაზე კიდევ ერთხელ დასაკვირვებლად თბილისის ტრადიციულ ტურნირს გამოვიყენებთ. ვფიქრობ, გუნდის პირველი-მეორე ნომრობის უმთავრეს კანდიდატთა დაახლოებით 80 პროცენტი სწორედ სპორტის სასახლეში გამოიკვეთება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მუშთაიდის პარკში საახალწლო კონცერტებია

ეკა ირემაშვილი

განახლებულ მუშთაიდის პარკში საახალწლო კონცერტებია. ღონისძიებებში თბილისის ხელოვნების სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ. კონცერტები 2 იანვარს დაიწყო და 14 იანვრამდე გაგრძელდება.

საახალწლო კონცერტები განახლებულ პარკში რევაზ ლაღიძის სახელობის მეოთხე ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა გახსნეს, მათ კი შეენაცვლნენ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლა, ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“, რომელმაც ორი დღის განმავლობაში წარმოადგინა თავისი საკონცერტო რეპერტუარი.

შობის დღესასწაულზე 7 იანვარს პარკში მისული მსმენელის წინაშე კონცერტს გამართავს ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლა, 8 და 10 იანვარს – ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლა, 9 იანვარს – ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, 10 იანვარს – მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლა, 11 იანვარს – ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, 12 იანვარს – შოთა შანიძის სახელობის №20 ხელოვნების სკოლა, 13 იანვარს – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ხოლო საახალწლო ღონისძიებებს 14 იანვარს ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლა დახურავს.



მუშთაიდის ბაღი ირანიდან გამოქცეულმა მირ ფეთეალა სეიდ თავრიზიმ XIX საუკუნის 30-იან წლებში გააშენა. გადმოცემით, მუჯთაჰიდმა დასასახლებლად თბილისი ქართველი ცოლის გამო აირჩია, რომელიც ადრე გარდაიცვალა და ამავე ბაღშია დაკრძალული. დაახლოებით 20 წლის შემდეგ, ბაღი სახაზინო საკუთრება გახდა, სადაც ეწყობოდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სახალხო სეირნობები, გამოფენები, სპექტაკლები. სწორედ ამ ბაღში ამოქმედდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. ბაღის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა რელიქტური ხის ძელქვის კორომია.

ბუნებისმეტყველის ნიკოლოზ შავროვის თაოსნობით ბაღის ტერიტორიაზე დაარსდა კავკასიის სააბრეშუმო სადგური. სადგურის კომპლექსი XIX საუკუნის ბოლოს აიგო და მისი დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში დაინგრა. მთავარი შენობა, სადაც დღეს „აბრეშუმის სახლი“ მდებარეობს და ის დღეს მეაბრეშუმეობის მუზეუმს, ბიბლიოთეკასა და მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრს აერთიანებს, თავდაპირველი სახით არის მოღწეული.

ბოლო პერიოდში მუშთაიდის პარკში საქანელები მოძველდა და უმეტესობა მწყობრიდან გამოვიდა. დეკემბრის მიწურულს კი მუშთაიდის პარკში გაიხსნა და განახლებული სახით ელის პატარა სტუმრებს. პარკში ყველაფერი განახლდა, უკვე არსებულ ატრაქციონებს 25-მდე ახალი ატრაქციონი დაემატა, ისტორიული კარუსელები აღდგა, დაიდგა სამი უნიკალური ახალი ტივი. მუშთაიდის პარკში ფუნქციონირებს შვიდი დე კინოთეატრი, გარემონტდა სკვერში მდებარე საკონცერტო სცენა, სადაც ტარდება ღონისძიებები, ფესტივალები. გაზაფხულიდან კი ეს ყველაფერი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

10 იანვარს მუშთაიდის პარკში თოვლის ბაბუას ელოდებიან, რომელიც პარკში შეკრებილ პატარებს საჩუქრებს დაურიგებს.

# გოდერძი ჩოხელზე ფილმი გადაიღეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თა პოეზიის საღამო, სადაც წაკითხულ იქნა გოდერძი ჩოხელის ლექსები. თავიანთი შემოქმედებიდან ლექსები წაიკითხეს ტარიელ ხარხელაურმა, მარიამ წიკლაურმა, თავმას ჩოხელმა და გუდამაყრის და ფასანაურის სკოლის მოსწავლეებმა და მოწვეულმა მსახიობებმა. საღამოზე წაკითხულ იქნა გუდამაყრელ ხალხურ მელექსეთა გამოუქვეყნებელი ლექსები. ღონისძიება კი მუსიკალურად გააფორმეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა. ეს საღამო ადამ ბექაურის, მარიამ წიკლაურის, ტარიელ ხარხელაურისა და საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება აქტუალური აღმოჩნდა ნინო ზედელაშვილისთვისაც. მან შეადგინა წიგნი „ნაწილიანი“, რომელმაც გააერთიანა მოგონებები გოდერძი ჩოხელის შესახებ. ამ წიგნის წარდგინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა. როგორც ავტორმა აღნიშნა, კრებულში შესულია მწერლების, მსახიობების, ოჯახის წევრების, მეგობრების მიერ მოთხრობილი საინტერესო და უცნობი ეპიზოდები გოდერძი ჩოხელის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ, ასევე გამოუქვეყნებელი ფოტოები. „ნაწილიანის“ პრეზენტაციის დროს გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „ცასწავალა“, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური დასის მიერ ნაჩვენები იქნა ლიტერატურული კომპოზიცია გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების მიხედვით. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ცნობილი ქართველი რეჟისორები, მსახიობები და ხელოვნებათმცოდნეები, რომლებთანაც თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებდა გოდერძი ჩოხელს, მათ შორის მიწვეული იყვნენ ლანა ღოღობერიძე, გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, გურამ ფირცხალავა და ყველა ის ხელოვანი, რომელთა მოგონებებიც შეტანილია წიგნში. კრებული გამომცემლობამ „საუნჯე“ გამოსცა, ხოლო ღონისძიების თანაორგანიზატორობა თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა ითავა.

როგორც გოდერძი ჩოხელის მეუღლე აღნიშნავს, მწერლისა და რეჟისორის შემოქმედების მიმართ ინტერესი არ ცხრება. დუშეთის რაიონის გამგეობა ინიციატივით გამოვიდა, რომ გუდამაყარში გაიხსნას გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი. მწერალი და სცენარისტი 5 წლის წინ 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა- კურთხევით მცხეთის დედათა მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

# ეროვნულმა კინოცენტრმა შედეგები შეაჯამა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფარგლებში კინოთეატრ „ოდისეაში“ გაიმართა ქართული ფილმების კვირეული. კინოთეატრი „ოდისეა“ XX საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული. მისი პროგრამა დღემდე შედგენილია ფილმებისგან, რომლებიც მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქართული ფილმების კვირეულისადმი საკმაოდ დიდი ინტერესი და მოლოდინი იყო მაყურებლის მხრიდან. პროგრამის ფარგლებში სტრასბურგის მოსახლეობას, ასევე ქალაქის სტუმრებს, შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ საქართველოს მიერ წარმოებული თანამედროვე ფილმები, ასევე ქართული კინოკლასიკა. სტრასბურგში ქართული კინოს დღეების ორგანიზატორი იყო ეროვნული კინოცენტრი. კინოჩვენებები სტრასბურგში გაიმართა ყოველ საღამოს. კვირეული ოთარ იოსელიანის ფილმით გაიხსნა. გახსნაზე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი. ფილმები წარადგინეს თავად რეჟისორებმა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებმა, სეანსის დასრულების შემდეგ მაყურებელს საშუალება ჰქონდა, კითხვები დაესვათ ფილმების რეჟისორებისთვის. ქართული კინო წარმოდგენილი იყო სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაშიც. ღონისძიება ეროვნული კინოცენტრისა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის ორგანიზებით და სლოვაკეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. 4 დღის განმავლობაში ნაჩვენები იყო 7 ქართული ფილმი, როგორც კინოკლასიკის ნიმუშები, ასევე ბოლო წლების ნამუშევრები. კინოჩვენებები გახსნა რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმმა „ქუჩის დღეები“, ასევე ნაჩვენები იყო „რაჭა, ჩემო სიყვარულო“, (რეჟისორები იოზეფ მედვედი, თემურ ფალავანდიშვილი), „მაგდანას ლურჯა“ (რეჟისორები თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე), „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ (რეჟისორი ნანა ჯანელიძე), „სამი სახლი“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე), „გაღმა ნაპირი“ (რეჟისორი გიორგი ოვაშვილი), „შანტრაპა“ (რეჟისორი ოთარ იოსელიანი). ქართული კინოს დღეებს ბრატისლავაში დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და დირექტორის მოადგილე სალომე სეფაშვილი, ასევე ქართველი კინემატოგრაფისტები ნანა ჯანელიძე და ქეთი მაჭავარიანი.

# ბაშარ ასადმა სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომს „ტერორისტებთან და მკვლელებთან“ ბრძოლა უწოდა

სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომს, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ხალხსა და დამნაშავე მკვლელებს, მამულსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლა უწოდა.

ამის შესახებ ასადმა სირიელი ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა.

ასადის თქმით, ის რაც ახლა ხდება ამას არ შეიძლება „რევოლუცია“ ეწოდოს. „ჩვენ ვებრძვით ტერორისტებს, რომლებიც „ალ-ქაიდას“ იდეებს აღიარებენ, რაც უცხოა სირიის კულტურისთვის და ისლამისთვის“,-აღნიშნა ასადმა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნის პრეზიდენტს ბაშარ ასადსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის 2011 წელს დაიწყო.

აეროს მონაცემებით, 2011 წლიდან დღემდე სირიის კონფლიქტს 60 ათას ადამიანზე მეტის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სირიის ოპოზიცია აცხადებს, რომ მარტო გუშინ ქვეყანაში მომხდარი შეტაკებების შედეგად 108 ადამიანია დაღუპული.

მათივე ინფორმაციით, ბაშარ ასადის ვერტმფრენებმა და სამხედროებმა ძლიერი იერიში მიიტანეს დამასკოს შემოგარენსა და ქალაქ ჰომსზე.

ამავდროულად თურქეთში ამერიკელი სამხედროები ჩადიან, რათა თურქ სამხედროებს სირიასთან საზღვარზე რაკეტა „პეტრიოტების“ განლაგებაში დახმარება აღმოუჩინონ.

გ. მ.

# არგენტინა დიდი ბრიტანეთისგან ფოლკლენდის კუნძულების დაბრუნებას მოითხოვს



არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს დევიდ კამერონს სადავო ფოლკლენდის კუნძულების არგენტინისათვის დაბრუნებისკენ მოუწოდა.

არგენტინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კუნძულები არგენტინისა 180 წლის წინ „ძალადობრივი გზით“ წართვეს.

„მას შემდეგ კოლონიური ზესახელმწიფო დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს დააბრუნოს არგენტინის რესპუბლიკის ტერიტორია და ხელს უშლის მასდაიბრუნოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა“, – განაცხადა კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა.

მან ყველას შეახსენა გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წელს მიღებული რეზოლუცია, რომელშიც არის მოწოდება დიდი ბრიტანეთისა და არგენტინისადმი გამართონ მოლაპარაკებები სადავო კუნძულებზე.

„არგენტინელი ხალხის სახელით კიდევ ვიმეორებ მოწოდებას – დავემორჩილოთ გაეროს რეზოლუციებს“, – აცხადებს პრეზიდენტი.

გ. მ.

# ზიდანი: „ინიესტა ჩემს თავს მახსენებს, მაგრამ ცოტა ფერმკრთალია“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**ფაბიო კანავარო:**

– მესისა და რონალდუს შორის ინისტასა და პირლოს ვირჩევ. ესპანელმა თავისი შესაძლებლობები ესპანეთის ნაკრებში ევრო 2012-ზე აჩვენა, ანდრეამ კი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონატში და იტალიის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

**ანდრეი შევჩენკო:**

– ხმას ანდრეს ინიესტას ვაძლევ. და კიდევ ვისი დამსახურებაა, რომ ესპანეთის ნაკრები ბოლო 6 წელია იგებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს?!

**ზინედინ ზიდანი:**

– ინიესტა მართლაც შთამბეჭდავი ფეხბურთელია. მასზე ბევრის თქმა ესპანეთის ნაკრებში ასპარეზობით შეიძლება. ჩემს თავს მახსენებ, მაგრამ ცოტა ფერმკრთალია.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი:**

– ხმას ინიესტას ვაძლევ, რადგან მან შეძლო ევროპის ჩემპიონატის მოგება და ამავე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ასევე მას შესანიშნავი წელი ჰქონდა „ბარსაში“. იმედი მაქვს სწორედ ის მიიღებს ამ ტიტულს.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. კორეული ავტომობილი; 2. ინდონეზიის კუნძული; 3. ალკოჰოლური სასმელი; 4. არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო; 5. მფრინავი; 6. ევას ქმარი (ბიბლია); 7. მამულიშვილი; 8. შესანახად გამხმარი ხორცი; 9. ნოტი; 10. კურორტი თურქეთში; 11. იუპიტერის თანამგზავრი; 12. მწკრივი; 13. ქიმიური ელემენტი; 14. სახლ-კარი ლათინურ ამერიკაში; 15. ავტოშეჯიბრი; 16. იაპონური თეატრი; 17. ყაზახეთის ფულის ერთეული; 18. სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაურის წოდებულება; 19. კუზიანი კურდღელი; 20. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 21. იალქანი; 22. კოპიო; 23. გერმანელი მათემატიკოსი; 24. უქოჩრო თუთიყუში; 25. კეთილი, ლმობიერი; 26. ურანის თანამგზავრი; 27. დოდო აბაშიძის კინოროლი; 28. ბუნებრივი საღებავი; 29. მცენარის გამრავლების ორგანო; 30. ქართული ხურდა ფული; 31. ქალბატონი (ინგლისურად); 32. შუშა; 33. სამმუსიკოსიანი ანსამბლი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თუტმოსი; 2. ჟიგოლო; 3. მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. გრავიურა; 12. პარასოლი; 14. ამუდარია; 16. სანტოსი; 17. არქტიკა; 19. რადა; 20. კოკი.

**თარაზულად**: 5. კუპიდონი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლოტოსი; 11. რაგბი; 13. ბახში; 15. ამლახუ; 18. ხარკი; 21. ღრიანკალი; 22. ოოლოგია; 23. მარჩილი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. დივანი; 6. მანიკური; 9. მდოგვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. ლაკმე; 17. დორსე; 18. სიგმა.

**თარაზულად**: 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. გურალია; 9. ზუგდიდი; 10. მარშალი; 13. ვენდეტტა; 14. ჰოპერი; 15. კოლი; 19. მაყვალი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინეკენი; 22. მახათა.

## ჩინეთში ღორის გრიპით 2 ადამიანი გარდაიცვალა

ჩინეთში ე.წ. ღორის გრიპით 2 ადამიანი გარდაიცვალა. როგორც უცხოური მედიასაშუალებები წერენ, ორივე



მათგანი ქალია და ეიჩ1 ენ1-ს დედაქალაქში ემსხვერპლნენ. მათგან ერთის ასაკი 65 წელს შეადგენს, მეორესი კი – 27-ს.

აღნიშნული ვირუსით ჩინეთში გარდაცვალების ფაქტი ბოლოს 2010 წელს დაფიქსირდა. პეკინის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა შესაბამისი ზომები უკვე მიიღო, რათა ვირუსმა მასშტაბური სახე არ მიიღოს.

ეიჩ1 ენ1-ის პანდემიამ 2009 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში იფეთქა, შემდეგ კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ე.წ. ღორის გრიპი, რომელიც გავრცელდა ადამიანებს შორის და გამოიწვია 2009 წლის ეპიდემია, არის გრიპის ა ტიპის ეიჩერთი ენერთი შტამის აქამდე უცნობი ვერსია. ამ ახალი შტამის თავისებურება ისაა, რომ იგი შეიცავს ადამიანთა შორის სეზონურად გრიპის აფეთქებების გამომწვევი ეიჩ1 ენ1 შტამისა და ფრინველის გრიპის გამომწვევი ა ტიპის ეიჩ5 ენ1 შტამის მსგავს გენეტიკურ მასალას.

## უგო ჩავესის ინაუგურაცია გადაიდება

ვენესუელას მთავრობის განცხადებით, მომავალ კვირას დაგეგმილი პრეზიდენტ უგო ჩავესის ინაუგურაცია მისი ავადმყოფობის გამო გადაიდება. ამის შესახებ „ევრონიუსი" იუწყება.

თუმცა, მთავრობის განცხადებით, მეოთხე ვადით არჩეული უგო ჩავესი კვლავაც რჩება ქვეყნის ლიდერად ექვსი წლის ვადით.

ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტის, ნიკოლა მადუროს განცხადებით, უზენაესი სასამართლო პრეზიდენტის ფიცს მოგვიანებით მიიღებს.

უგო ჩავესი, რომელსაც ექიმებმა რამდენიმე თვის წინ კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, კუბაში მკურნალობს. 58 წლის ლიდერს მეორე ოპერაციის შემდეგ სასუნთქი გზების ინფექცია გაუმწვავდა, რის გამოც სუნთქვის პრობლემები შეექმნა.

„11 დეკემბერს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, ამხანაგ ჩავესს ფილტვების ინფექცია დაემართა, რამაც სუნთქვის პრობლემები გამოიწვია. ამის გამო, აუცილებელია, პრეზიდენტი მკაცრი სამედიცინო რეჟიმის ქვეშ დარჩეს", – განაცხადა ვენესუელის ინფორმაციის მინისტრმა ერნესტო ვილეგასმა.

უგო ჩავესი სამი კვირაა საზოგადოებაში არ გამოჩენილა.

## ირანისა და „საერთაშორისო ექვსეულის" მორიგი შეხვედრა იანვარში გაიმართება

ირანი საკუთარი ბირთვული პროგრამის შესახებ „საერთაშორისო ექვსეულთან" მოლაპარაკებების განახლებას დათანხმდა. გავრცელებული ინფორმაციით, მორიგი შეხვედრა იანვარში ჩატარდება, თუმცა მისი ზუსტი დრო და ადგილი ჯერ-ჯერობით უცნობია.

თანხმობა ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა საიეიდ ჯალილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.




ჯალილმა დაადასტურა, რომ თეირანი თანახმაა, მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი იანვარში გაიმართოს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი შეხვედრა ირანისა და „საერთაშორისო ექვსეულის" წარმომადგენლებს შორის აპრილში მოსკოვში გაიმართა, თუმცა მხარეებმა ვერავითარ კონკრეტულ შედეგს ვერ მიაღწიეს.

მსოფლიოს ექვსი სახელმწიფო – აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ჩინეთი ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერებას ცდილობენ. ოფიციალური თეირანი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ამ ფონზე, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ქვეყნისთვის ნომერ პირველი საგარეო მტერი კვლავ ირანია.

მისი განცხადებით, ირანს ბირთვული იარაღის დამზადების საკითხში ჯერ-ჯერობით „წითელი ხაზი" არ გადაუკვეთავს.

ნეთანიაჰუ „წითელ ხაზს" ირანის მიერ „ბირთვული იარაღის წარმოებისთვის 90%-იანი მზადყოფნის" მაჩვენებლით განსაზღვრავს.

ისრაელის პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ისლამური რესპუბლიკა აღნიშნულ მაჩვენებელს მიმდინარე წლის ზაფხულამდე არ გადაკვეთს.

ამასთან, ნეთანიაჰუმ შეშფოთება გამოთქვა ისრაელის უსაფრთხოების გარანტიის არარსებობის გამო.

ისრაელის მთავრობის მეთაურის თქმით, „ახლო მომავალში, ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობა შენარჩუნდება, თუმცა, თუ არ მივცემთ ირანს იმის შანსს, რომ შექმნას ბირთვული იარაღი, არის შანსი სიტუაცის ცვლილებისათვის", – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, სექტემბერში, გაეროს გენასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ირანი „წითელი ხაზის" გადაკვეთის სახიფათო ნიშნულს უახლოვდება, რადგან 2013 წლის შემოდგომისათვის, ქვეყანას უკვე შეეძლება ბირთვული იარაღის შექმნა.

## მაჰმუდ აბასის ბრძანებით, პალესტინას „პალესტინის სახელმწიფო" ეწოდა



პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაჰმუდ აბასმა სახელწოდების „პალესტინის ნაციონალური ადმინიტრაცია" „პალესტინის სახელმწიფოთი" შეცვლის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი. თავად აბასს პრეზიდენტის სტატუსი ენიჭება.

აღნიშნული ბრძანების შედეგად შეიცვლება ოფიციალური სიმბოლიკაც, მათ შორის – გერბი და ბეჭედიც.

აღნიშნული ბრძანება გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილების რეალიზებისკენ არის მიმართული, რომლის მიხედვითაც პალესტინას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა.

ამ დრომდე ოფიციალურ სიმბოლიკაში „პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია" და „პალისტინის სახელმწიფო" ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა.

ამ ფონზე, ეგვიპტის მასმედიამ ინტერნეტში გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, სადაც ახლანდელი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი დაწვრილებით და ღიად საუბრობს და აღწერს ისრაელთან და ებრაელ ხალხთან საკუთარ დამოკიდებულებას.

ვიდეორგოლში, რომელიც 2010 წლით არის დათარიღებული, მურსი მეზობლებს „სისხლისმწოველებს" უწოდებს, მათ „ღორებისა და მაიმუნების შთამომავლებად" მიიჩნევს. მისივე სიტყვებით, ნებისმიერი მოლაპარაკებები ისრაელთან – ეს „დროის უაზრო ხარჯვაა".

პალესტინის საკითხის გადაჭრის ერთადერთ საშუალებად მურსი ასახელებს „ყველა ფორმით წინააღმდეგობას" და სრულად უარყოფს დარეგულირების გზებს, აცხადებს რომ „პალესტინის ავტონომია შექმნილი იყო მტრების, სიონისტებისა და ამერიკელების მიერ ერთადერთი მიზნით: პალესტინელი ხალხის ნებისა და ინტერესების წინააღმდეგ".

მაშინდელი ოპოზიციური პარტიის „ძმები მუსლიმების" ლიდერის აზრით, სიონისტების ადგილი არ არის ახლო აღმოსავლეთში, ისინი განდევნილი უნდა იქნან „არაბული და მუსულმანური მიწებიდან", ასევე, „ყველა ისლამური ქვეყნიდან".

მურსი, ასევე გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებას ებრაული სახელმწიფოს არსებობის უფლების თაობაზე. მისი თვალსაზრისით „სიონისტურ წარმონაქმს არ უნდა ჰქონდეს ადგილი პალესტინის მიწაზე". მან განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს „მწვანე ზოლს", რომელიც გამყოფია ისრაელსა და პალესტინას შორის, რადგან „მთელი ეს მიწა პალესტინელებს ეკუთვნის და არა სიონისტებს".

ამასთან დაკავშირებით მურსი აცხადებდა, რომ დროა შეწყდეს დიალოგი და საუბარი ორი სახელმწიფოს, ორი ერისათვის შექმნის შესახებ, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მშვიდობიანი პროცესის „ილუზიას". „სიონისტები აგრესიულები არიან თავისი ბუნებით. ამიტომ მათ მხოლოდ ძალის ენა ესმით", – განმარტა საკუთარი მოსაზრებები ეგვიპტის სახელმწიფოს მომავალმა ხელმძღვანელმა.

მურსი ეგვიპტის პრეზიდენტი 2012 წელს გახდა. ამ პოსტზე მან დასავლეთის ქვეყნების კეთილგანწყობა დაიმსახურა, იმდენად რამდენადაც მოახერხა ისრაელსა და ჰამასს შორის ბოლოდროინდელი კონფლიქტის დაზავება, ასევე შექმნა ხელისუფლების დიქტატორული სისტემა, რომელსაც ვაშინგტონში და ბრიუსელში „სტაბილურს" უწოდებენ.

მიუხედავად მურსის შეხედულებებისა ისრაელთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ეგვიპტის სამხედრო და ფინანსურ დახმარებას, რომლის მოცულობა წელიწადში მილიარდ დოლარს აჭარბებს.

## პრეზიდენტი იანუკოვიჩი დსთ–ის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას არ გამორიცხავს

პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის თქმით, უკრაინამ უფრო სერიოზულად უნდა განიხილოს დსთ-ს საბაჟო კავშირში გაწევრიანების საკითხი. სწორედ ამიტომ, მისი აზრით, უნდა მოხდეს უკრაინული კანონების ადაპტაცია საბაჟო კავშირის მოთხოვნებთან.



ეს განცხადება პრეზიდენტმა იმ ფონზე გააკეთა, როდესაც 2013 წლის ბოლოს იგეგმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს იგივე ურთიერთობების დამყარებას უკრაინასთან, როგორიც სხვა ევროპის ქვეყნებთან არსებობს, თუმცა ევროკავშირის წევრობის გარეშე. ცნობილია, რომ ოფიციალურმა კიევმა თავის სტრატეგიულ საგარეო კურსად ევროინტეგრაცია აირჩია. ხოლო რუსეთი უკრაინას საბაჟო კავშირის ნაცვლად პირველ რიგში გაზის დაბალ ტარიფებს სთავაზობს. ცნობილია, რომ უკრაინა და რუსეთი გაზის ტარიფებზე ვერ თანხმდებიან.

ამ ფონზე, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსული მხარის განცხადებებს ისტერიული უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე გორბანმა განაცხადა, რომ უკრაინა ვერ მიიღებს იაფად გაზს თუ საბაჟო კავშირიში არ შევა. მისი თქმით, უკრაინას ევროპასთანაც უნდა და რუსეთთანაც და ეს შეუძლებელია. „არ შეიძლება სანახევროდ იყო ფეხმძიმედ",– განაცხადა გორბანმა. მან ასევე თქვა, რომ მალე უკრაინის მისლადენები ჩაყანგდება და ჯართში იქნება ჩასაბარებელი. ამ განცხადებას უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. მათი თქმით, რუსეთთან ხანდახან ვერ აღწევენ ხოლმე შეთანხმებას, თუმცა ამის გამო ისტერიულ და შეურაწმყოფელ განცხადებებს არ ავრცელებენ.

## 2012 წლის ყველაზე კორუმპირებულ პერსონად ილჰამ ალიევი დაასახელეს

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საგამომძიებო პროექტი" 2012 წლის კორუმპირებული პერსონა გამოავლინა. სარაევოსა და ბუქარესტში დაფუძნებულმა ორგანიზაციამ „გამარჯვებული" აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში მომხდარი კრიმინალური და კორუფციულ საქმეებთან კავშირის მიხედვით შეარჩია.

კორუმპირებულთა რეიტინგში მოხვედრით „დაჯილდოვდა" რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. ამ უკანასკნელს ეს „პატივი" რუსეთში ათწლეულების განმავლობაში არსებული კორუფციისა და კრიმინალის უპრეცედენტო მასშტაბებისთვის ერგო.

პუტინის რეიტინგში მოხვედრა მეტწილად განაპირობა მისმა კავშირმა გახმაურებულ „მაგნიტსკის საქმესთან". 2009 წელს რუსი ადვოკატი სერგეი მაგნიტსკი წინასწარი პატიმრობის საკანში დაიღუპა. ამ საქმის მოსამართლეთა განცხადებით, ეს „მთავრობის მხრიდან უზარმაზარი მასშტაბების კორუფციაზე თვალის დახუჭვის ყველაზე კარგად დოკუმენტირებული საქმე იყო".

2012 წლის ყველაზე კორუმპირებული პერსონა, არასამთავრობო ორგანიზაციის რეიტინგით, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი გახდა. „ალიევი ავირჩიეთ იმ სამხილების გამო, რომელიც მისი ოჯახის მიერ ძვირადღირებული ინდუსტრიების ხელში ჩაგდებას ადასტურებს. მათ შორის არის ტელევიზია, მინერალური რესურსები და სამშენებლო ბიზნესი. მათი ხელში ჩაგდება ალიევის ოჯახმა პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებით მოახერხა", – განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციაში.

რეიტინგში ასევე მოხვდნენ მონტენეგროს პრემიერ-მინისტრი მილო ჯუკანოვიჩი, უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი, ნარკობარონი დარკო სარიჩი და სერბი ბიზნესმენი მიროსლავ მიშკოვიჩი.

„2012 წელი სამაგალითო იყო მათთვის, ვინც ვაშუქებდით ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციულ საქმეებს. ყოველწლიურად ეს ინდუსტრია უფრო მზარდი ხდება მსოფლიო მასშტაბით", – განაცხადა „ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საგამომძიებო პროექტის" მთავარმა რედაქტორმა დრიუ სალივანმა.

## ვლადიმერ პუტინმა ჟერარ დეპარდიეს რუსული პასპორტი გადასცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ კი, დეპარდიე რუსეთს სიყვარულში გამოუტყდა.

როგორც მის ღია წერილშია ნათქვამი, რომელსაც „ფიგარო" აქვეყნებს, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით მსახიობს განაცხადი თვითონ ჰქონდა შეტანილი.

„მოხარული ვარ, რომ ჩემი განაცხადი დაკმაყოფილდა. მე მიყვარს თქვენი ქვეყანა – რუსეთი, მისი ხალხი, მისი ისტორია, მისი მწერლები. მამაჩემი კომუნისტურ პერიოდში მოსკოვის რადიოს უსმენდა ხოლმე, ეს ჩემი კულტურაცაა", – აცხადებს დეპარდიე რუსული მედიისადმი მიწერილ წერილში და დასძენს, რომ მას უყვარს პუტინი. იგი რუსეთს „დიდ დემოკრატიადაც" მოიხსენიებს.

მსახიობი რუსული შესწავლას და რუსეთის რომელიმე სოფელში სახლის შეძენას აპირებს. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ დეპარდიე პასპორტით რუსული კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა. მან ცოტა ხნის წინ ექსცენტრული ბერის, რასპუტინის როლი ითამაშა.

ჟერარ დეპარდიეს შემდეგ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა შეიძლება კიდევ ერთმა ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ითხოვოს. უცხოური მედიის ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ქალაქ ლიონის ზოოპარკის ადმინისტრაცია ორ დაავადებულ სპილოს ევთანაზიას გაუკეთებს, ბრიჯიტ ბარდო „ცხოველების სასაფლაო ქვეყანას" დატოვებს და საცხოვრებლად რუსეთში გადავა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 7 იანვაიი**

06.00 ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი 07.00 საცირკო სანახაობა: „მომავლის ცირკი" 08.00 საბ/ან/ფ „მახინჯი იხვის ჭუკის საშობაო თავგადასავალი" 09.30 საბ. მხ/ფ „საშობაო ამბავი" 11.00 საბავშვო კონცერტი: „გოზინაყი ფართი" 12.00 16.00, 20.00, 01.30 „მოამბე" 12.30 „ერქვანი" და „მართვე" 14.00 მხ/ფ „ოთხი შობა" 15.30 ქარ. ტ/ფ „ქვევრი" 17.00 კონცერტი: ე. მამალაძე 18.00 „პეპე და მეგობრები" 21.00 ტ/სერ. „როსელა" 22.00 ქარ. მხ/ფ „ვერის უბნის მელოდიები" 23.30 პატრიარქის ალსაყდრების წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი (ახალი) 01.00 „საფარი" 01.50 მხ/ფ „მის კონგენიალურობა – 2" 03.40 ტ/სერ. „სპირალი" 04.40 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი: ჯაშუში" რომელმაც შემაცდინა" 06.10 კონცერტი: EARHT WIND END FIRE

08.00 კლასიკური მუსიკის შედევრები 09.05 მხ/ფ „დენისი შოუს მასწავლებელი" (საბ.) 10.30 მხ/ფ „ტკბილი ნოემბერი" (შ.ტერონი) 12.05 მხ/ფ „ფრედ კლაუსი" სანტას ძმა" 13.30 მხ/ფ „ელფი" 15.05 ვენის სიმპონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი: დირიჟორი – რიკარდო მუტი – 2004 15.35 შოთა რუსთაველის სახელობის სახ. აკადემიური თეატრის სპექტაკლი – „როგორც გენებოთ" ანუ მეთორმეტე ღამე" 18.20 საშობაო კონცერტი: ჯანსუღ კახიძე 19.00 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი: ჯაშუში" რომელმაც შემაცდინა" 20.30 ფილმ კონცერტი – „ჩხიკვთა ქორწილი" 22.10 ქარ. მ-მხ/ფ „რეკორდი" 23.05 კონცერტი: ანსამბლი „თბილისი" 00.10 მხ/ფ „სიყვარულის სურნელი" (მ.რაიანი) 01.50 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)

08.00 ან.ფ. „სალადინი" მე–9" 10 სერია 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.15 ან.ფ. „სამსონი და ნეონი" 09.35 ან.ფ. „სპანჯბობი" 1 სერ. 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი" 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 3" 3 სერ. 14.45 სერ. „24 – 4" 1 სერ. 15.45 სერ. „დამალული სიმართლე" 3 სერ. 17.40 სერ. „თილისმა" 4 სერ. 18.50, 19.05 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში" 23.00 სერ. „ღვინის გზა" 1 სერ. 00.00 მხ/ფ „საშობაო ამბავი" (ს.სარანდონი) 01.45 მხ/ფ „ვარსკვლავის დაბადება" (პ.დაფი) (ტიტ.) 03.30 მუსიკა

პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 22.00 ქ.მხ/ფ. 23.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ქართული მულტფილმები 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.50 მხ/ფ „ცისკარა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 09.05 „განთიადი" (კოლაჟი) 10.00, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „ცისფერი მთები" 13.40 კონცერტი-ეგარი 15.05 საშობაო ეპისტოლე 15.30 კონცერტი - ლიზა ბაგრატიონი 16.45 მულტ/ფ „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 18.05 საშობაო ეპისტოლე 18.30 ქრისტეს მახარობლები 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 მხ/ფ „ჭრიჭინა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 საშობაო ეპისტოლე 21.40 შობის ვარსკვლავი 22.25 დოკ/ფ „შობა უფლისა" (რ. ძნელაძე) 22.40 ალილო 22.45 ტელ/ფ „პეპელა" 22.55 ალილო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ალილო - ანს.„ჩოხოსნები" 00.35 მოკ/ფ „ღვინის ძურდები" 01.00 სატელევიზიო არქივიდან „ტალანტები და თაყვანისმცემლები"

მაესტრო

07.00, 02.35, 04.55, 06.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.35, 17.10, 18.40, 04.35, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ, ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა" 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.25 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.10, 01.40 თოქ-შოუ – „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები" 22.20, 03.10 თოქ-შოუ – „პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6566 |
| ევრო | 2,1842 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6870 |
| რუსული რუბლი | 5,3463 |

**ამინდის პროგნოზი 7 იანვრისთვის**

__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.
__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.
__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




# ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




# მალე!
## „ახალ თაობასთან“ ერთად
## ილია II
## ოქროს ხანა
### სამტომეული

## ფაჩულიასა და შენგელიას ორიანები



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი მატჩები გამართეს ზაზა ფაჩულიას და თორნიკე შენგელიას გუნდებმა. პირველად მოხდა, რომ ქართველი მოთამაშეების ქულობრივი მონაგარი დაემთხვა. სამწუხაროდ, ოდენობამ მხოლოდ 2 ქულა შეადგინა.

„ატლანტამ“ გუშინ დეტროიტში წაგებას დღეს საშინაო მარცხიც მოაყოლა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთ კონკურენტ „ბოსტონს“ უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში „სელტიქსს“ გვარიანად უსწრებს, მაინც დამარცხდა – 81:89.

ქართველმა ცენტრმა მხოლოდ 13 წუთი ითამაშა. ზაზამ თამაშიდან ერთხელ შეუტია ბოსტონელთა ფარს და ააცილა, 2 საჯარიმო კი ჩააგდო და მატჩი 2 ქულითა და ამდენივე მოხსნით დაასრულა. ფაჩულიას ოპონენტმა კევინ გარნეტმა შეხვედრა 14 ქულით, 5 მოხსნითა და 3 პასით დაასრულა.

მარცხის მიუხედავად, 20 მოგებისა და 12 მარცხის მქონე „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილს ინარჩუნებს. მეოთხეზე მყოფ „ინდიანას“ 20 მოგება და 14 მარცხი აქვს.

ცხრილში აღმასვლას განაგრძობს თორნიკე შენგელიას „ბრუკლინი“, რომელმაც ამჯერად „საკრამენტო“ გაანადგურა – 113:93. მთავარი მწვრთნელის, აივერი ჯონსონის დათხოვნის შემდეგ ბრუკლინელებს პიჯეი კარლისიმოს ხელში 6 მატჩიდან 5 მოგება აქვთ და აღმოსავლეთის ცხრილში უკვე მე-6 ადგილზე არიან.

„საკრამენტოსთან“ მატჩში 5 წუთი ითამაშა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც 2 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა. ქართველ ფორვარდს თამაშიდან არ შეუტევია, ქულები საჯარიმო სროლებით მოინაგრა.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი
### 7 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

__მშვენიერი დღეა__

**ვერძი** – ყურადღების ცენტრში ხართ, თავს კარგად გრძნობთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – საზეიმო განწყობა არ გტოვებთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, გახარებული ხართ. **ქალწული** – რომანტიკული დღეა, დასაჩუქრდებით. **სასწორი** – საქმე კარგად წაგივათ, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** – ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი სიურპრიზებს გიმზადებთ. **მერწყული** – დაბრკოლება გადალახულია, მშვენივრად ხართ. **თევზები** – საღამოს სიურპრიზი გელოდებათ!

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ვლადიმერ პუტინმა ჟერარ დეპარდიეს რუსული პასპორტი გადასცა



რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ფრანგ მსახიობს, ჟერარ დეპარდიეს რუსული პასპორტი გადასცა. როგორც რუსულ მედიას პუტინის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა განუცხადა, პრეზიდენტისა და მსახიობის შეხვედრა სოჭში გაიმართა.

„შედგა მცირეხნიანი შეხვედრა. მსახიობი რუსეთში კერძო ვიზიტით იმყოფება და მას რუსეთის პასპორტი გადაეცა“, – აღნიშნა პესკოვმა.

მისი თქმით, პუტინმა და დეპარდიემ ერთად ისადილეს, სადაც ისაუბრეს გრიგოლ რასპუტინის შესახებ გადაღებულ ფილმზე, რომელშიც მთავარ როლს სწორედ დეპარდიე ასრულებს.

ვლადიმერ პუტინმა ფრანგ მსახიობს რუსეთის მოქალაქეობა სამი დღის წინ მიანიჭა. ჟერარ დეპარდიემ საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის საგადასახადო რეფორმების გამო უკმაყოფილება გამოთქვა და საცხოვრებლის და ფრანგული პასპორტის ჩაბარება გადაწყვიტა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. წყალშეუღწევადი მინერალური მასა, იყენებენ კერამიკაში; 3. თოვლის ჯიქი; 8. იაპონელთა ნაციონალური სამოსი; 9. ჭიგო; 14. ძველის საპირისპირო; 15. სილამაზის, სიყვარულის ქალღმერთი ინდუიზმში; 17. ჩლიქზე დასაკრავი რკინის ფირფიტა; 20. აგატა ...; 22. წელის ბრტყელი წნული; 23. კლდეში ნაკვეთი ქალაქი; 25. გამოცდილი მფრინავი; 26. .. გარსია; 27. ბერძნული ანბანის ასო; 28. ძლიერ რადიაქტიული მინერალი.

**შვეულად:** 1. ღირებულება; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ნერვულ-ფსიქიკური დაავადების გამოხატულება; 4. ფრანგული ძველებური ხურდა; 5. ყველაზე პატარა; 6. პატარა ტანის ცხენი; 7. ნახატების შემცველი მომცრო წიგნი; 10. სუსტი არაყი; 11. მიმტანი რესტორანში; 12. მეჩეთის კოშკი; 13. სესხად აღებული ფული; 16. ფულის ერთეული ესპანეთში; 18. სამხედრო-საზღვაო გემების დიდი შენაერთი; 19. პატარა ორადგილიანი თვითმფრინავი; 21. რომის პაპის გვირგვინი; 24. ამერიკელების მეტსახელი ევროპაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## გოდერძი ჩოხელზე ფილმი გადაიღეს

ეკა ირემაშვილი



ქართველ რეჟისორზე, სცენარისტსა და მწერალზე გოდერძი ჩოხელზე ფილმი გადაიღეს. „ცასწავალა (გოდერძი ჩოხელი)“ – ასე ეწოდება მარიამ ადამაშვილის ნამუშევარს, რომლის წარდგინებაც 9 იანვარს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ჩატარდება. ფილმი უკვე გამოცემულია დისკის სახით და სწორედ ამ დისკის პრეზენტაციაა დაგეგმილი წმიდა სამების საკათედრო ტაძარში.

როგორც საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის წარმომადგენელი ნათია გოგუაძე განმარტავს, ღონისძიებას დაესწრებიან გოდერძი ჩოხელის ოჯახის წევრები, სასულიერო პირები, მწერლები და საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენლები.

– ფილმში ნაჩვენებია ცნობილი ქართველი მწერლის, რეჟისორისა და სცენარისტის გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და მოღვაწეობა. ფილმის შექმნას საფუძვლად გოდერძის მეგობრების, რეჟისორების ლანა ღოღობერიძის და რეზო ჩხეიძის, საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელის, მსახიობების ზურა ყიფშიძისა და ლაურა რეხვიაშვილის, პედაგოგების და თანასოფლელების მოგონებები, გოდერძის ოჯახის პირადი არქივის ვიდეო და ფოტომასალა დაედო. მაყურებელი იხილავს, თუ როგორ იქმნებოდა გოდერძი ჩოხელის ფილმები, როგორი იყო გადასაღებ მოედანზე. ფილმში გამოყენებულია ავტორის ტექსტებიც და აუდიოჩანაწერები, სადაც გოდერძი ჩოხელი თავისი ცხოვრების დეტალებს იხსენებს. ამ ფილმისთვის კი მუსიკა სპეციალურად კომპოზიტორმა ზურა მახნიაშვილმა შექმნა, – აღნიშნავს ნათია გოგუაძე.

ფილმი ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების VII საერთაშორისო ფესტივალზე „წმინდა ანდრიას ჯვარი“ დაჯილდოვდა მედლით – „წმინდა ანდრიას ჯვარი.“ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გოდერძი ჩოხელს უძღვნიან საღამოს. ცენტრში მოეწყო გუდამაყრელ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი